

მყოფადის ხოლმეობითი თანამედროვე ქართულში

მყოფადის ხოლმეობითი, ანდა, როგორც მას უფრო ხშირად უწოდებენ, ხოლმეობითი, მყოფადის წრეში შემაჯავლი ფორმაა და, მაშასადამე, მისი დამოუკიდებელ ნაკვეთად ჩამოყალიბება დაკავშირებულია ასპექტის გამობატვის სისტემის შეცვლასთან. ფორმაც და ძირითადი მნიშვნელობაც ხოლმეობითს გადმოყოლილი აქვს ძველი ქართულის უწყვეტლის მწკრივიდან, რომლის ზმნისწინიან ფუძესაც იგი შეესაბამება¹. უწყვეტლის ფუნქციებთან კავშირი ხოლმეობითს თანამედროვე ქართულშიც აშკარად უჩანს. ხშირ შემთხვევაში ჯერ კიდევ ჰქონდა იგი იგივე ნაკვეთის ერთმანეთისაგან გარჩევა.

საგულისხმოა, რომ მყოფადის წრის ჩამოყალიბების შემდეგ² მასში შემაჯავლი ყველა ნაკვეთის დამოუკიდებელი ფუნქციონირება ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში კიდევ კარგა ხანს ვერ აისახა. ამას, შესაძლოა, ერთი მხრივ, ართულებდა საუღლებელ ერთეულთა განხილვის ადრინდელი ტრადიცია: ზმნური ფორმები კილოურ სახესხვაობათა შიგნით განიხილებოდა; ხოლო, მეორე მხრივ, ბუნებრივია, არც ამ ახალი ფუნქციების შექმნა მომხდარა ერთბაშად და ზმნისწინის მქონებლობა თუ უქონლობა ზმნურ ფორმათა დამოუკიდებელ ნაკვეთებად გაფორმების საფუძვლად ვერ აღიქმებოდა.

¹ ვ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ხოლმეობითის მწკრივის ფუნქციები თანამედროვე ქართულში, სტუდენტთა XXVI სამეცნიერო კონფერენცია, 17—22 IV, 1964, მოხსენებათა თეზისები, გვ. 9.

² ამ მოვლენის ჩანასახები ძველ ქართულშივეა შენიშნული. IX—X საუკ. ძეგლებში დადასტურებულია მყოფადის ფუნქციით ზმნისწინიანი აწმყოს გამოყენება, ხოლო XI საუკუნიდან ახალი სისტემის მიხედვით ნაწარმოები ფორმების რაოდენობა თანდათან მატულობს. იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე, Изменение системы выражения глагольной категории вида в грузинском и его последствия, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, III, № 9, 1942; მ ი ს ი ვ ე; ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 268—270; ზ. ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984, გვ. 505—506; ზ. ტ უ მ ბ უ რ ი ძ ე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1986, გვ. 54—64.

ალბათ ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ანტონის, გაიოზის, შან-შოვანის, დავით ბაგრატიონის, იოანე ბაგრატიონის და იმ ეპოქის ბევრ სხვა გრამატიკულ სახელმძღვანელოში სათანადო კილოური შინაარსების გარჩევისას მეტი ყურადღება აქვს დათმობილი დამხმარე საშუალებებს. ამ ნაშრომებში ერთი და იგივე ფორმა ნამყო უსრულის სახელწოდებით შეტანილია როგორც თბრობითი კილოს („საზღურებითა სქესის“) ჯგუფში, ისე ნატვრითისა („საწადისი“) და პირობითის („უპოტეტიკა“) კილოთა ჯგუფში იმ განსხვავებით, რომ „საწადისი სქესის“ შემთხვევაში ეს ფორმები ვაშათჳ, ხოლო უპოტეტიკისას უკეთჳ მორფემოიდული ელემენტებითაა შევსებული³. შდრ.: ანტონ I-ის გრამატიკის მიხედვით, „საზღურებითი სქესის“ ნამყო უსრული არის შევჳკვრდი, „საწადისი სქესის“ ნამყო უსრული — ვაშათჳ შევჳკვრდი, „უპოტეტიკასა სქესისა“ — უკეთჳ შევჳკვრდი⁴.

დიმიტრი ყიფიანმა ერთ-ერთმა პირველმა გაარჩია და გამოყო ზმნის-წინიანი და უზმინისწინო ფორმები, როგორც დამოუკიდებელი საუღლებელი ერთეულები და ისინი სრულობა-უსრულობის მიხედვით დაპირისპირებულად განიხილა. დღევანდელი ხოლმეობითის ფორმები მას თბრობითი კილოს („ჩვენებითი დახარა“) ჯგუფში აქვს მოთავსებული. „დრო გაეღილი უსრულია“ ვაკეთებდი, ხოლო „დრო გაეღილი სრულია“ ვავაკეთებდი⁵. დიმიტრი ყიფიანი აღნიშნავს, თანდებული (იგულისხმება ზმნისწინი) მოქმედებას სისრულეს აძლევს⁶.

1887 წელს გაზეთ „ფერიაში“ გამოქვეყნებულ წერილში „საგრა-მატიკო ესკიზი“ კ. დოდაშვილი აღნიშნულ ფორმებს არა მხოლოდ ასპექტის მიხედვით განარჩევს, არამედ კილოური თვალსაზრისითაც.

³ ანტონ I, ქართული ღრამატიკა, თბ., 1885, გვ. 24—25; გაიოზ რექტორი, ქართული ღრამატიკა, თბ., 1970, გვ. 67—74; იოანე ბაგრატიონი, კალმასობილელი ქართული გრამატიკა, თბ., 1986, გვ. 56—58; ზურაბ შანშოვანი, მოკლე ქართული ღრამატიკა, ს.-პ., 1681, გვ. 27—30. ტერპიონლოგოურად ცოტა სხვაობს ზ. შანშოვანის კლასიფიკაცია: „სანეტარბო ვითარის“ (=ანტონ I-ის „საწადის სქესს“) ფორმები შედგენილია ნეტართჳშა, ხოლო „საქუედასოსი“ (=ანტონ I-ის უპოტეტიკას) — უკუშთუ მოდალური ფორმანტებით.

⁴ ანტონ I, ქართული ღრამატიკა, გვ. 24—25.

⁵ დ. ყიფიანი, ახალი ქართული გრამატიკა, სანეტ-პეტერბურგა, 1882, გვ. 87—94. როგორც ა. შანიძე შენიშნავს, დ. ყიფიანს გრამატიკის სახელმძღვანელოს დაწერამდე ბევრად ადრე, 1853 წელს, სახელმძღვანელოთა კომიტეტისათვის გადაუცია „წერა“ ზმნის უღლების ტაბულა, რომელშიც „წერა“ ყველგან უსრული საბით ყოფილა მოყვანილი, მაგრამ იქვე რუსულად გაკეთებული ყოფილა ასეთი შენიშვნა: „თავში რომ დაემატოს ერთ-ერთი ნაწილაკი, მაგ., „და“, ყველა დროში წარმოდგება სრული ანუ დამთავრებული სახე ზმნისაო“, — იხ. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საუფუძელები, I, 1973, გვ. 277.

⁶ დ. ყიფიანი, დსახ. ნაშრ., გვ. 105—111.

ვაკეთებდი არის „მოთხრობითი დახრის“ ნამყო უსრული, ხოლო ვაკეთებდი — „სათუო დახრის“ ნამყო სრული⁷. დღევანდელი ხოლმეობითის შესატყვის ფორმებს (ანთებდა, იტრიალებდი, გამომიგზავნილი) ვაკვრით ეხება თ. ქორდანია თავისი „ქართული გრამატიკის“ სახელმძღვანელოში და ერთ-ერთ შენიშვნაში მათ შესახებ აღნიშნავს, ამ ფორმათა „დრო წარსული საწადისია“⁸.

1894 წელს გამოვიდა არ. ქუთათელაძის „პირველ-დაწყებითი ქართული გრამატიკა“ (III შეესებული გამოცემა). მასში არაა გარჩეული დღევანდელი უწყვეტელ-ხოლმეობითის ნაკვები. ავტორი ზმნათა მხოლოდ უზმნისწინო ვარიანტებს განიხილავს და ვაშენებდი ფორმას თხრობითი კილოს (მისი ტერმინოლოგიით — „საზღვრებითი დახრის“) ჯგუფში ათავსებს⁹. სამი წლის შემდეგ გამოვიდა მისივე „ქართული ზმნების კლასიფიკაცია“, რომლის შესავალში ავტორი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ეს წიგნი მოწოდებულია შეავსოს მის მიერ ადრე გამოცემული გრამატიკის ზოგიერთი ნაკლი. პირველივე საკითხი ნაკვთთა კლასიფიკაციას ეხება. არ. ქუთათელაძე შენიშნავს: „დღემდის ცნობილი იყო საზღვრებით დახრაში ნამყო უსრულის ერთი სახე. ჩვენ მივიღეთ მისი მეორე სახეც, რადგან ამას მოითხოვდა ენა და მისი კანონი; თუ კი შეიძლება, მაგ. ითქვას: ხშირად მუშაობისაგან „ვიქანცებოდი“ ხოლმე და, ძალღონე მოშვებული, სავარძელში „ვჯდებოდი“, ეგრევე კანონიერი იქნება ითქვას: ხშირად მუშაობისაგან „დავიქანცებოდი“ ხოლმე და, ძალღონე მოშვებული, სავარძელში „ჩავჯდებოდი“. თუ ეს ასეა, საზღვრებით დახრას ემატება კიდევ ერთი დრო, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ „ნამყო განმეორებულ“¹⁰, რადგან, ჩვენის აზრით, ამ ფორმაში მოქმედება რამდენჯერმე არის გამეორებული“¹⁰.

დავწერდი, მოვიდოდი ტიპის ერთეულებს პირობითი კილოს ნამყო დროის ერთადერთ ფორმებად გამოყოფენ ს. ხუნდაძე¹¹ და მ. ჯანაშვილი¹². ზმნით გამოხატული ვითარებისა და დროის გასარკვევად ორივე ავტორი დიდ მნიშვნელობას აძლევს კითხვის დასმას და „პირობითა

7 კ. დოდაშვილი, საგრამატიკო ესკიზი, „ივერია“, 1887, № 217.

8 თ. ქორდანია, ქართული გრამატიკა (ეტიმოლოგია და სინტაქსი), ტფილისი, 1889, გვ. 60.

9 არ. ქუთათელაძე, პირველ-დაწყებითი ქართული გრამატიკა, მესამე შეესებული გამოცემა, ტფილისი, 1894, გვ. 90—91.

10 ქართული ზმნების კლასიფიკაცია, შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან, ტფ., 1897, გვ. 3—4.

11 ს. ხუნდაძე, ქართული ზმნები, ქუთაისი, 1891, გვ. 17; მისივე: ქართული გრამატიკა (მეორე შეესებული გამოცემა), ქუთაისი, 1907, გვ. 60.

12 მ. ჯანაშვილი, ქართული გრამატიკა, ტფ., 1906, გვ. 56.

დახრის“ ნამყოს კითხვად ისინი სწორედ დღევანდელი ხოლმეობითის კითხვას ასახელებენ: **რას ვიზამდი?**¹³

ნ. მარი „ძველი ქართული ენის გრამატიკის ძირითად ტახულებში“ დრო-კილოთა I ჯგუფში ნამყო უსრულის მხოლოდ უზმნისწინა ვარიანტს ასახელებს და ხოლმეობითის ფორმები ყურადღების მიღმა რჩება¹⁴. წმნისწინიანი ფორმების შესახებ ნ. მარი მოგვიანებით გამოუსულ ნაშრომში მსჯელობს და აღნიშნავს, რომ, რამდენიც ძირითადი დროა ქართულში, იმდენივე მათგანი ასპექტის მაჩვენებლის დართვით ნაწარმოები დროაო. ზმნისწინიანი ფორმების ფუნქციებს ნ. მარი საგანგებოდ არ მიმოიხილავს, მაგრამ მათი ძირითადი ნიუანსები შემჩნეული აქვს. იგი აღნიშნავს, ძირითად დროთა პარალელურად წარმოქმნილი ფორმები ზოგჯერ იმავე (ძირეულ) დროთა სრულ ასპექტს შეესაბამებინ, ზოგჯერ სინტაქსური მოთხოვნით ნაკარნახებ კილოს რომელიმე მნიშვნელობას გამოხატავენ, ზოგჯერ კი მთლიანად უცვლიან ზმნას მნიშვნელობასო¹⁵.

მაშასადამე, ხოლმეობითის ნაკვთის კილოური თვალსაზრისით შეფასებისას იმთავითვე ორი, ერთმანეთის საპირისპირო შეხედულება გაჩნდა. ერთნი მას თბრობითი კილოს ჯგუფს მიაკუთვნებდნენ, მეორენი — არათბრობითისას (პირობითი, სათუო, საწადისი, უპოტეტიკა, ქუეწყობილებითი). მაგრამ, რაც უფრო მეტად იკვებებოდა საკუთრივ ხოლმეობითის ნაკვთის ფუნქციები, რაც უფრო მეტად ითიშებოდა იგი უწყვეტლისაგან, მით უფრო აქტიურად აღიქმებოდა იგი არათბრობითი კილოს გამომხატველ ნაკვთად. ამგვარი კვალიფიკაციისას განსაკუთრებით მახვილდებოდა ყურადღება პირობით-შედევობითი შინაარსის წინადადებებში მის მოხმარებაზე, რთული სინტაქსური კონსტრუქციის მქონებლობაზე, მოდალური სიტყვების შეგუების უნარზე. ეს დამოკიდებულება ტერმინოლოგიურადაც აისახა. არნ. ჩიქობავა ამ ნაკვთს პ ი რ ო ბ ი თ ს (условное) უწოდებს¹⁶.

ა. შანიძე 1930 წელს გამოცემულ წიგნში „ქართული გრამატიკა“ ნამყო უწყვეტლის დახასიათებისას შენიშნავს, რომ „ნამყო უწყვეტლის ფორმები შესრულებული ასპექტის წყალობით პირობითი კილოს ფორმებად იქცევა; მაგ., გავაკეთებდი, ვნახავდი, წავიდოდი, დავკდე-

¹³ მ. ჭანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 74—75; ს. ხუნდაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 17.

¹⁴ Н. Марр, Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка С.-Пб., 1908, ცხრ. XIII.

¹⁵ Н. Марр. Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925, § 195, გვ. 161.

¹⁶ არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, 1950, გვ. 062; მისი ივე: Грузинский язык, Языки народов СССР, т. IV, Иберийско-кавказские языки, М., 1967, გვ. 50.

ბოდი, დავიბანდი და მისთ. მაგრამ, თუ ფორმას ასპექტის სისრულე არ ახლავს, იგი თხრობითი კილოსი იქნება (ნ. უწყვეტლისა), თუნდაც ზმნას პრევერბი ჰქონდეს დართული¹⁷. ცალკე საუღლებელ ერთეულად ეს ზმნისწინიანი ფორმები ავტორს გამოყოფილი არა აქვს (ამ მონოგრაფიაში მყოფადის წრე ცალკე საერთოდ არაა გამოყოფილი და I სერია სულ სამი წევრითაა წარმოდგენილი: აწყობ-მყოფადი, ნამყო უწყვეტელი და პირველი კავშირებითი). მოგვიანებით გამოცემულ (1953, 1973) „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ მყოფადის წრის ცალკე გამოყოფასთან დაკავშირებით გაჩნდა ხოლმეობითიც, რომელიც კვალიფიცირებულია როგორც თხრობითი კილოს ფორმა; მაგრამ იქვე შენიშნულია, რომ „შეიძლება თხრობითი კილოს ნაცვლად ამავე მწკრივმა შედეგობითი გადმოგვეცეს“¹⁸ (თუმცა ავტორს შედეგობითისა და პირობითისათვის კილოს წოდება უჭირს, რის გამოც შემდგომ მსჯელობაში მათთან დაკავშირებით „კილოს“ ბრჭყალებში ათავსებს).

თანამედროვე ქართულის ხოლმეობითის ნაკვთის ფუნქციებში სამი სხვადასხვა კილოს შინაარსსაც ხედავენ: თხრობითი, პირობითი და კავშირებითი კილოების მნიშვნელობებს¹⁹. ამასთან, ამ ნაკვთის ხმარების სიხშირე კილოების მიხედვით ასეა წარმოდგენილი: თხრობითი კილოს მნიშვნელობით მაგალითების 76%, პირობითი კილოს მნიშვნელობით — 12,5%, კავშირებითის მნიშვნელობით — 11,5%. ამ დაყოფიდან ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნაც: „ხოლმეობითის მწკრივის ძირითად ფუნქციას თხრობითი კილოს (წარსული დროის) მნიშვნელობის გამოხატვა წარმოადგენს“²⁰.

ამგვარ კილოურ „მრავალსახეობაში“ ხოლმეობითს II თურმეობითი თუ შეედრება. სხვა ნაკვთები, ტრადიციულად, შედარებით უფრო ერთგვაროვან, ცალსახა კილოურ ფორმებად არის მიჩნეული. მიზეზები მხოლოდ ნაკვთის შინაარსში, მის სემანტიკურ შესაძლებლობებში არ უნდა იყოს საძიებელი: თანამედროვე ქართულში კილოს მორფოლოგიური გამოხატვის სისტემა შეირყა. ძველ ქართულში ბრძანებითს თავისი მაწარმოებლები ჰქონდა, ახალ ქართულში იგი მოიშალა. ახლა ბრძანებითის გამოხატვის ძირითადი საშუალება ინტონაციაა²¹. კილოური შინაარსის გადმომცემი მორფოლოგიური სტრუქტურის დაბნე-

17 ა. შანიძე, ქართული გრამატიკა, I, მორფოლოგია, თბ., 1930, გვ. 125.

18 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 211—211, 219.

19 ვ. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 9.

20 იქვე.

21 გ. ნინუა, ბრძანებითის საზიარო ფორმები ძველ ქართულში (გრამატიკული პოლისემია და ომონიმია), მაცნე, ენისა და ლიტ. სერია, № 6, 1967, გვ. 212.

ლებასთან დაკავშირებით გააქტიურდა წინადადების კონსტრუქციის როლი, ნაწილაკ-მორფემოიდთა ფუნქციები... მაგრამ ზმნის კილოურა შინაარსის განსაზღვრაში წინადადების კონსტრუქცია და სხვა საშუალებები შეიძლება იყოს არა გადაწყვეტი, არამედ მხოლოდ დამხმარე საშუალება, ისიც, გამოწვეული კილოურ ნიშანთა ფუნქციური დაბნელებით. ზმნური ფორმის შინაგან სინტაქსში²² უნდა იყოს ასახული მოსაუბრის დამოკიდებულება ზმნით გადმოცემული შინაარსისადმი. ამ არსებითი მომენტის გათვალისწინება კილოური ფორმების სწორი ინტერპრეტაციის აუცილებელი პირობაა, თუმცა ამ თითქოსდა ძალიან ნათელი და მარტივი პირობის დაცვა ყოველთვის ადვილი არ არის მოდალური ნიუანსების სიმრავლისა და განსაკუთრებით კი გარკვეული კონსტრუქციების მიერ კილოურ შესაძლებლობათა გამოხატვის უნარის შექენის გამო.

* * *

I. როგორ გვესმის ამ თვალსაზრისით ხოლმეობითის კილოური შინაარსი? როგორ აფასებს მოსაუბრე ამ ნაკვით გადმოცემულ მოქმედებას, — როგორც ფაქტს, რეალობას თუ როგორც არაფაქტს, ირეალობას?

ხოლმეობითის ნაკვითანი რამდენიმე წინადადება:

რა ცეცხლი იყო მაშინ ჩემს გულში, ვინ გამოიციეობდა, ვინ გაიგებდა? (ვაჟა); ვიციოდი, რომ თუ ღმერთზე და სამართალზე ხელს ააღებდნენ, ციპირის იქით გადამაცდილებდნენ (ილია); უნდა გაშორებოდნენ ხეობას და გადასახლებულიყვნენ სხვაგან, სადაც ამოირჩეოდნენ დასაბინავებელ ადგილს (დ. კლდ.); ო, ნეტავი მართლა მქონდეს, შევზღუდავდი ჩემს ფარგლებს და დავამშვიდებდი ქვეყანას, ჩემს სამეფოს (ნ. ლორთქი); მუხას მიძიმე კარი ფალესის დარაჯმა ძლივს გაგვიღო და იგი მანამ ეჭირა, ვიდრე ყველა შიგ შევიდოდი (რ. ჯაფ.); ზოგიერთმა ისე ახლოს მომედა, რომ ლაპარაკაც გაიგონებდა პირწინადად (ჭ. ამირეჯ.). თუ ეგრეა, მე მაგას მოვხსნიდი კი არა, ქების საგელს მივცემდი, კარგ ორდენსაც მივცემდი, კარგ პენსიასაც დივინიონავდი, ძალიან დიდ მადლობას ვეტყვოდი, ხელსაც მაგრად ჩამოვართმევდი, აქეთ-იქით ლოყაზედ მაგრად ვაკოცებდი და ისე ვავუშვებდი... (ნ. დუმბ.); მაგრამ არ იცოდა, ვინ ვის კლავდა, რატომ, რისი გულასთვის, და სრულებითაც არ გაუეცვირდებოდა, მისთვისაც რომ გადაეცვათ ყისერზე ყულფი, ანდა ხიშტი ებგერებინათ მუცელში... (ო. ჭილა); პავლე გვიან ზრუნდებოდა. მიფილი ღღის ნაშრომსა და ნაჯადს დადლა არც კი ეტყობოდა. ახლა ჟხოში მოტრიალდებოდა, ხეხილს დაბედავდა, პატარა ბოსტანში წყლას

²² ზმნის „შინაგან სინტაქსში“ ვგულისხმობთ ზმნური ფორმის მაქსიმალურად ნეიტრალურ პოზიციას, რომელშიც პოტენციურადაა მოცემული ამ ზმნის ფუნქციური შესაძლებლობანი. ამ შესაძლებლობათა რეალიზაცია წინადადებაში სხვადასხვა დამხმარე კონტექსტუალური საშუალებებით ხორციელდება.

ღარებს თოხით გამოწმენდა და, მერე მობრუნდებოდა და ღარიბულ სუფრას მიუჯდებოდა. თებროს უსათუოდ გვერდით მოისვენებდა, უიმისოდ პურს არ გატეხდა. ისეთი სახე ჰქონდა, მძღარ კაცსაც ხასიათზე მოიყვანდა. ლობოს გამში პურს ჩაამტვრევდა, ზედ წითელ წიწკას მოაფშენიდა და ხის ვეება კოვზით შეეჭყეოდა (თ. ჰილი); ღამით ყველაზე იქცეოდა გოგონა, დღისით თამაშობდა სახლში და ელოდა, როდის დაბრუნდებოდა ოსტატი (გ. პეტრ.); პროცესზე ფეხს რა დამადგმევი ნებდა. მაგრამ სხვე-ზისაგან გავიგე ყველაფერი (ჰ. ამირეჯ.); რამეს ხომ არ დამაბარებდით? („საუნჯე“).

სხვა ნაკვეთებთან შედარებით ხოლმეობითის კილოური შინაარსის ერთგვარ გაბუნდოვანებას შესაძლოა იწვევდეს მისი უნარი, გამოხატოს არა მარტო აბსოლუტური დრო, არამედ რელატიურიც. — სხვა ზმნის დროსთან მიმართებით. ეს ამ ნაკვეთის შინაგანი სინტაქსის თავისებურებაშიც აისახება, — მსგავსად ირეალური შინაარსის გამომხატველი ზმნებისა, ისიც ასოციაციურად სხვა მოქმედებასთან კავშირს გულისხმობს.

II. დროის თვალსაზრისით ხოლმეობითი წარსულს აღნიშნავს, ოდნოდ ეს წარსული ცოტა სპეციფიკურია: ხოლმეობითის ნაკვეთით გადმოიცემა მოქმედება, რომელიც წარსულში იქნა დასახული მომავლისათვის, მომავლად, ხოლო საუბრის მომენტისათვის ეს მომავალიც უკვე წარსულია. ტერმინი **ნამყოფადარი ნამყო** (არნ. ჩიქობავა) სწორედ ხოლმეობითის ამ თავისებურებების გამომხატველია. ამ თვალსაზრისით იგი შესატყვისია ევროპული ენების სპეციფიკური დროისა — მომავალი წარსულში (მაგ., ინგლ. Future in the past).

რელატიური დროითი ღერძის იმ მონაკვეთისათვის, რომლის დროსაც ხოლმეობითი მომავალ დროს აღნიშნავს, მოსაუბრისაგან იგი რეალურად შესასრულებელ ფაქტად არის მიჩნეული; ხოლო საუბრის მომენტისათვის ხოლმეობითის ნაკვეთი წარსულში სამომავლო რეალობად დასახული ფაქტის კონსტატაციას ასახავს. ხოლმეობითის ამგვარი ფუნქციური შესაძლებლობა უნდა განსაზღვრავდეს მის უნარს, რიგ შემთხვევებში შეენაცვლოს ირიბი თქმის შემცველ წინადადებებში -**მეთქი**, -**ო**-ნაწილაკიან მომავალი დროის გამომხატველ ნაკვეთებს. მაგალითად, სინთონიმური კონსტრუქციებია: „იგი შემპირდა, რომ **მოვალო**“ და „იგი შემპირდა, რომ **მოვიდოდა**“. სტრუქტურა **მოვალ-ო** ზუსტად გამოხატავს ხოლმეობითის ნაკვეთის სემანტიკას (**მოვალ-** მომავალი დროის გადმომცემი ფორმა + **-ო** -- სხვათა სიტყვის, სხვათა ნათქვამობის, ე. ი. წარსულის ფაქტის აღმნიშვნელი). ხოლმეობითის მოხმარების ამ სახეს შეიძლება ირიბი თქმის გადმოცემის შესაძლებლობაც ეწოდოს.

ამ რიგის მაგალითებად შეიძლება ჩაითვალოს:

ღრიაგინმა მოითხოვა დაშლილიყენენ და დაპირდა მათ, რომ მოსულ განკარგულებას დროზე შეატყობინებდა (დ. კლდ.).

იგივე შინაარსი ასეც შეიძლება გადამოცემულიყო:

...დაპირდა მათ, მოსულ განკარგულებას დროზე შეგატყობინებო.

ასევე:

იმედი ჰქონდა, რაღაცას გაყიდოდა (ნ. ლორთქ.).

გაყიდოდა = გავეყიდო.

აღუთქვა, — არსად გასცემდა მასთან შეხედრას (ლ. სანაჯ.).

გასცემდა = გავცემო

ღარწმუნებული ვიყავი, რომ ერთხელ მაინც გამომელაპარაკებოდა (ჭ. ამირეჯ.).

გამომელაპარაკებოდა = გამომელაპარაკება-მეთქი

ვიცოდი, რომ ჩამომიტანდი (ნ. ღუმბ.).

ჩამომიტანდი = ჩამომიტანს-მეთქი.

ყოველთვის ფიქრობდა, რომ ხვალ, ხვალ უსაბუთოდ გააკეთებდა დედისათვის რამეს, წაიყვანდა საღმე, ექიმს აჩვენებდა, მოუვლიდა, თავზე დაადგებოდა (თ. ჭილ.).

შესაბამისად, გახაზული ფორმებიც შესატყვისია: გავაკეთებ, წაიყვან, ვაჩვენებ, მოვუვლი, დავადგები-ო.

III. ტრადიციულად, ხოლმეობითის ერთ-ერთ სპეციფიკურ ფუნქციად გამოყოფენ მრავალგზის განმეორებული, ჩვეულებითი მოქმედების აღნიშვნას. ამ სემანტიკის გადმოსაცემად ძველ ქართულში სპეციალური ნაკვეთები არსებობდა: უწყვეტლის ხოლმეობითი, II ხოლმეობითი, ე. წ. „შერეული ხოლმეობითი“. ძველი ქართულის ხოლმეობითისა და ერთგზისის გრამატიკული კატეგორიის სინთეზური ჩვენება ახალ ქართულში ანალიზური საშუალებით შეიცვალა და ეს კატეგორია თითქმის ყველა ნაკვეთმა შეიძინა. ხოლმეობათს ყველა სასურველ ნაკვეთთან ხოლმე- ნაწილაკდართული ფორმა უჩვენებს²³. ალბათ ამის გამო რამდენადმე სადავო ჩანს ხოლმეობითისათვის მრავალგზისობის შინაარსის სპეციფიკურ ფუნქციად გამოყოფა, მაგრამ

23 ი. ქავეთარაძე, ხოლმეობითის კატეგორიის ისტორიიდან ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, 1961, გვ. 8; იხ. აგრეთვე: თ. ზურაბიშვილი, მრავალგზისობის საკითხი თანამედროვე ქართულში, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, XL, 2, 1965, გვ. 508—511.

ამაზე ქვემოთ. საერთოდ კი მხოლოდ ამ ფუნქციით გამოყენებული ხოლმეობითის კილოური შინაარსი არ იწვევს არავის ეჭვს, — მას ყოველთვის თხრობით კილოს განაკუთვნიებენ. მართლაც, ხოლმეობითის თხრობითი კილოს სემანტიკის საილუსტრაციოდ მოხმობილი ზმნების თხრობითობა მართლაც არ არის საეჭვო; საეჭვოა ხოლმეობითის ნაკვთად მათი მიჩნევა. მართალია, წინადადებაში — „დილით გავიღვიძებდი თუ არა, ავდგებოდი, პირს დავიბანდი, საჩქაროდ ჩავიცვამდი, ჯერ ჩაის დავლევდი, შემდეგ მაგიდას მივუჭდებოდი და წერას განვაგრძობდი“²⁴ — დადასტურებული ზმნები პრევერბიანი, სრული ასპექტის ფორმებია და საპირისპირო უზმნისწინო ვარიანტებიც შეესაბამება (ხოლმეობით-უწყვეტლის კლასიკური ფორმობრივი შესაბამისობა), მაგრამ აშკარად გამოხატული ჩვეულებითობის, მრავალგზისობის გამო (და იმის გამოც, რომ უწყვეტელ-ხოლმეობითის სემანტიკური გათიშვა, როგორც ჩანს, ზოგ შემთხვევაში ჯერ კიდევ არ დამთავრებულა), ეს ფორმები უწყვეტლის მნიშვნელობით უფროა გამოყენებული, ვიდრე ხოლმეობითისა: მათი ხოლმეობითობა უფრო სადავოა, ვიდრე უწყვეტლობა. ასპექტის სისრულე საკმარისი პირობა არ ჩანს დამოუკიდებელი საუღლებელი ერთეულის შესაქმნელად: აუხსნელი რჩება, რატომ არ ჩამოყალიბდა (ან არ განიხილება) ცალკე ნაკვთებად II და III სერიის ზმნისწინიანი და უზმნისწინო (სრული და უსრული ასპექტის) ფორმები²⁵.

ჩვენს მსჯელობას მხარს უნდა უჭერდეს თვითონ ა. შანიძისავე შენიშვნა, რომ „მრავალგზისი ფორმები ისეთ მოქმედებასაც გადმოგვცემს, რომლებიც ჩვეულებად არის ქცეული. ამიტომ ასეთ ფორმებს ჩვეულებითსაც ეძახიან. ამ შემთხვევაში ამ მწყრივმა შეიძლება სულაც დაკარგოს დროის კატეგორია“²⁶. ამგვარი დროული განზო-

24 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 212.

25 გ. გოგოლაშვილი, ნაკვეთელთა სისტემა და უღვლილების ტიპები ახალ ქართულში, ქართული ზმნის უღვლილების ფორმობრივი და სემანტიკური ანალიზი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XLI სამეცნიერო სესიის მასალები, 1984, გვ. 10—11; საგულისხმოა, რომ უკანასკნელ ხანებში ნაკვთა სემანტიკური ანალიზისას დროსა და კილოსთან ერთად სულ უფრო ხშირად ითვალისწინებენ ასპექტის მონაცემებსაც და ერთი ნაკვთის ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმებს დამოუკიდებელ ფუნქციონალურ ერთეულებად გამოყოფენ. იხ. გ. გოგოლაშვილის დოქ. ნაშრ.; აგრეთვე: ა. არაბული, ზმნის ფორმათა სემანტიკური ანალიზისათვის (თხრობითი კილოს ნაკვთები), ქართული ზმნის უღვლილების ფორმობრივი და სემანტიკური ანალიზი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XLI სამეცნიერო სესიის მასალები, 1984, გვ. 5—6.

26 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 211.

ვადება კი სწორედ აწმყოს წრის ნაკვეთათვის არის დამახასიათებელი²⁷. მყოფადის წრე დროულად უფრო განსაზღვრულია, მისი დროული გამოხატვის შესაძლებლობები უფრო შეზღუდულია და შემოფარგლული. ამიტომ ხოლმეობითის ფორმათათვის მრავალგზისობის, ჩვეულებითობის გამოხატვა არაბუნებრივი ჩანს და ამგვარ შემთხვევებში ზმნისწინთან მხოლოდ ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის ცვლა ანდა სრული ასპექტის გამოხატვა უნდა იყოს დაკავშირებული.

ხოლმე-ნაწილაკიანი მყოფადისეული ხოლმეობითის **მოირჩენდა**, **გამოიტანდა** ფორმებზე მსჯელობისას ი. ქეთარაძე შენიშნავს, რომ „ამ ტიპის ზმნები არ შეიძლება ხოლმე ნაწილაკის დართვის შემთხვევაში სრული ასპექტის ფორმად ეცნოთ“²⁸. ამ შემთხვევაში ავტორს მხედველობაში აქვს სწორედ უწყვეტლისა და ხოლმეობითის ასპექტობრივ საფუძველზე დამოუკიდებელ ნაკეთებად განსხვავების საკითხი და დაასკვნის: „ზმნისწინს ასეთ შემთხვევაში ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის ცვლა ან თავისი ძირითადი შინაარსის — სიგრეცეში მიმართულების ჩვენება ეკისრება“²⁹. მსჯელობა ასე გრძელდება: „თუ სტილისტურ მოთხოვნებს ეწევა ანგარიში და ხოლმე არ ახლავს ზმნას, მაშინ საკუთრივ ხოლმეობითის გარდა, ზმნას ან პირობითის შინაარსი აქვს, ანდა ისევ ნამყო უწყვეტლისა, ოღონდ ზმნისწინის გამო უფრო კატეგორიულ-ფინიტური და რამდენადმე თავისებური“³⁰.

გფიქრობთ, არც **ხოლმე-ნაწილაკდართული** ხოლმეობითი განსხვავდება ნამყო უწყვეტლისაგან. მეტიც: კიდევ უფრო არ განსხვავდება. მოქმედება, რომელიც უბასუხებს კითხვას: **რას იზამდა?**, გულისხმობს მოქმედებას რაღაცის შემდგომ, პირობითად — მომავალში. თუ ასეთი მოქმედება ხშირად მეორდება, იგი ჩვეულებითობის შინაარსს იძენს და ამის გამო თავისუფლდება კონკრეტული დროული მიმართების აღნიშვნისაგან. ეს ფუნქცია კი აწმყოს წრის ნაკვეთათვისაა სპეციფიკური. მაშასადამე, მოქმედება, რომელიც უბასუხებს კითხვას: **რას იზამდა ხოლმე?** (**ხოლმე-ნაწილაკიანი** ხოლმეობითი), სემანტიკურად შეესაბამება მოქმედებას კითხვაზე: „**რას შვრებოდა?** (უწყვეტალი). ამიტომ ვფიქრობთ, რომ ზემოთ მოყვანილი წინადადება („დილით გავიღვიძებდი თუ არა, ავდგებოდი, პირს დავიბანდი, საჩქაროდ ჩავიცვამდი,

27 წარსულდროიანი ზმნის უსრული ასპექტისა და მრავალგზისობის ფუნქციური სიახლოვით ხსნის ა. შანიძე უწყვეტლისა და ძველი ქართლის I ხოლმეობითის ერთმანეთის გვერდით ხმარების შესაძლებლობას: „...მოხუცი ჩიუბუხებს სწევდნ, ბოლი ეხვიათ ნისლად, განმარტავდიან მათ ამბავს, შანდობა თქვიან ვნირთადა“ (ვაჟა); იხ. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 265.

28 ი. ქეთარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 15.

29 იქვე.

30 იქვე, გვ. 16.

ჯერ ჩაის დავლევდი, შემდეგ მაგიდას მივუჯდებოდი და წერას განვაგრძობდი“), როგორც გამოხატველი წარსულში მრავალგზის განმეორებული, ჩვეულებითი მოქმედებებისა, სინამდვილეში უწყვეტლის სემანტიკის გამოხატველ ფორმებს შეიცავს და არა ხოლმეობითისას. სხვა, გარკვეულ კონსტრუქციებში ამ ფორმათაგან ნებისმიერი შეიძლება წარმოადგენდეს ხოლმეობითის ნაკვთს, მაგრამ არა დასახელებულ შემთხვევაში. შესაძლოა, ცოტა პარადოქსულადაც ჩანდეს, რომ ნაკვთს ხოლმეობითს ვუწოდებთ, ხოლმეობითობის გადმოცემას კი მას არაბუნებრივად ვუთვლით. მაგრამ ჩვეულებითობის, მრავალგზისობის მნიშვნელობით გამოყენებულ ხოლმეობითის ნაკვთსა და შესაბამის უწყვეტლის ნაკვთს შორის ზუსტად ისეთივე მიმართებაა, როგორც დაწერა და წერა, დაწეროს და წეროს, დაუწერია და უწერია, დაეწერა და ეწერა, დაეწეროს და ეწეროს ფორმათა შორის. უწყვეტლისაგან განსხვავებული სხვა ფუნქციები რომ არა, ამ ფორმებში მართლაც სადავო ყოფილიყო თანამედროვე ქართულში ხოლმეობითის დამოუკიდებელ ნაკვთად არსებობის ფაქტი.

აწმყოსა და მყოფადის წრის ნაკვთთა არასრულფასოვანი ფუნქციონალური დაპირისპირების საკითხი არაერთხელ ყოფილა საპეციალისტთა ვანსჯის საგანი. ადვილი შესამჩნევია, რომ აწმყო-მყოფადის წრის ჯგუფების გარჩევას ზმნისწინის ქონა-უქონლობის მიხედვით ხშირად უფრო ფორმობრივი საფუძველი აქვს, ვიდრე ფუნქციონალურ-სემანტიკური. მყოფადის პრევერბიანი ფორმები ახლანდელი დროის გაგებითაც იხმარება, ხოლო ხოლმეობითისა — უწყვეტლის მნიშვნელობით, და „თუ რა გაგება აქვს ზმნას ამა თუ იმ შემთხვევაში, კონტექსტია საჭირო“³¹. და მაინც, ა. შანიძის აზრით, ზმნისწინიანი ფორმები ყოველთვის მყოფადის წრეს უნდა მიეკუთვნებოდნენ³². გამოდის, რომ, თუ ზმნისწინის ლექსიკური მნიშვნელობა აქტიურია, მას აწმყოს წრის ფორმები არ ექნება და, ამრიგად, მყოფადის წრეში გაცილებით უფრო მეტი ლექსიკური ერთეული აღმოჩნდება, ვიდრე აწმყოში (იმის მიხედვით, თუ რამდენ ზმნისწინს შეიგუებებს თითოეული ზმნის ფუძე); თუ ვვინდა ვთქვათ, რომ მშენებელი ზოგადად კი არ აშენებს კედელს, არამედ მისი ჩაშენება სურს, ზმნისწინით გამოხატულ აღნიშნულ ნიუანსს ამ ზმნის აწმყოს ნაკვთით ვერ გამოვხატავთ. ააშენებს, დააშენებს, ჩააშენებს, მიაშენებს, მოაშენებს... მყოფადის ფორმათა ჯგუფს ერთადერთი ფორმობრივი (და არა სემანტიკური) შესატყვისი აქვთ აწმყოში: აშენებს.

31 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 275.

32 იქვე, გვ. 276.

ამიტომ იქნებ უფრო მართებული იყოს ვარაუდი, რომ „ის ზმნის-წინიანი თუ უზმნისწინო ფორმები, რომლებიც გვხვდება როგორც ახლანდელი, ისე მომავალი დროის გაგებით, მწკრივის მიხედვითაც პოლისემიურად ვცნოთ და, თუ ახლანდელი დროა, აწმყოს მწკრივს მივაკუთვნოთ, მომავლის გაგებით კი — მყოფადის მწკრივს“³³. ასევე შეფასდება აწმყოსა და მყოფადის წრის სხვა მწკრივებიც³⁴, ე. ი. ამჟამად ჩვენთვის საინტერესო უწყვეტელ-ხოლმეობითის ფორმებიც.

მყოფადის წრის ფუნქციური ჩამოყალიბება საბოლოოდ ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. მყოფადის, ხოლმეობითისა და მყოფადის კავშირებითის სპეციფიკური, აწმყოს წრის შესაბამისი ნაკვეთებისაგან დამოუკიდებელი ფუნქციები გამოიკვეთა, მაგრამ მათ ჯერ კიდევ ბევრი აქვთ საერთო სათანადო უზმნისწინო ვარიანტებთან. მათი ფორმების მხოლოდ ასპექტობრივი დაპირისპირება დამოუკიდებელ საუღლებელ ერთეულს არ უნდა იძლეოდეს.

IV. მთელი მყოფადის წრისა და, მაშასადამე, ხოლმეობითის სპეციფიკურ ფუნქციადაც ყალიბდება გარკვეული დროული დაკონკრეტების უნარი (აწმყოს წრის ზოგადობის სემანტიკისაგან საპირისპიროდ). აქედან გამომდინარეობს ხოლმეობითის ყველაზე გამოკვეთილი და დამახასიათებელი ფუნქცია — დროული შემდგომადობის აღნიშვნა. შეიძლება ითქვას, რომ მისი ყველა სხვა ფუნქციაც დაკავშირებულია დროთა თანამიმდევრობის აღნიშვნის ამ უნართან. ამით უნდა აიხსნას ხოლმეობითის განსაკუთრებით ხშირი გამოყენება შემასმენელთა მიხედვით შერწყმულ ან, ზოგადად, ისეთი სემანტიკის წინადადებებში, რომლებშიც ერთმანეთთან უპირატესად დროითი თანამიმდევრობით დაკავშირებულ მოქმედებათა მთელი წყებაა ჩამოთვლილი. ამგვარივე ფუნქციით ხშირად იხმარება უწყვეტელიც. მეტწილ შემთხვევებში ჭირს კიდევ უწყვეტელ-ხოლმეობითის სემანტიკური გარჩევაც. ფორმობრივად ზმნა ხოლმეობითის ნაკვეთისაა, მაგრამ იმდენად ჩვეულებითს მოქმედებას აღნიშნავს, რომ იგი არ შეიძლება იყოს წარსულის ერთი რომელიმე მონაკვეთის (მომავალი წარსულში) აღმნიშვნელი. ხოლმეობითის ამგვარი ფორმები უწყვეტლის სემანტიკურ ჯგუფს განეკუთვნებიან. მაგალითები:

ცა კი უზნეო ბავშვივით ხან მთილ უშებოდა, მაგრამ ოქროსფერი ზოლები შაინც რჩებოდა, ხან კი ვაილი მივბოდა მთვარის შუქით, და თან თქორავდა და ჩხუმფლავდა (ნ. ლორთქ.).

შდრ.: რამდენად ბუნებრივად გამოიყურება ამავე წინადადებაში „ნამდვილი“ უწყვეტელი: რჩებოდა, თქორავდა, ჩხუმფლავდა. მათ

³³ ზ. ქუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1986, გვ. 92.

³⁴ იქვე, გვ. 93.

მეზობლობაში კიდევ უფრო აშკარაა, რომ მოიღუშებოდა და გაიღიმებოდა ფორმები ფუნქციურად უწყვეტელს შეესაბამება.

ასევე:

[მამა] შინ გვიან ბრუნდებოდა. ტყეის ბრტყელ ქაშარს მოიხსნიდა, საწოლის თავზე გადაკიდებდა და სკამზე დაჯდებოდა. ხელემა მუხლებზე დაიწყობდა და ცოტა ხანს ასე მდუმარედ იჯდა (თ. ჭილა); ამ დამახლისთანავე წამოვხტებოდი, თათხში გავიბრუნდი, ფეხსაცმელებს დავაბაკუნებდი, სკამს ბრაზუნით გადავდგამდი ერთი ადგილიდან მეორეზე, მერე ფეხაყრფით მივიპარებოდი საწოლთან და ისევ შეეგზორდებოდი ლოვიანი, და ასე მიძინა, ვიდრე ბებია ერთ ღოჭ წყალს არ დამაცლიდა თავზე (ნ. დუმბ.).

ბოლო წინადადებაში უკანასკნელი ზმნა მოქმედების ჩვეულებითობასთან ერთად დროულ შემდგომადობას, დროითს განპირობებულობასაც აღნიშნავს და ამიტომ ფუნქციურად იგი შედარებით უფრო ახლოსაა ხოლმეობითის ნაკეთის სემანტიკასთან.

შდრ. აგრეთვე:

[დედა მერი] ქილას უხმოდ ჩამოართმევდა, რატომღაც უსუნებდა და დაიწყებოდა (თ. ჭილა); იმ ქალაქში ქარი იცოდა ძალიან ხშირად. დაუბერავდა და ერთ მხარეს გაირეკავდა ჩამოცვენილ ფოთლებს, ხმაურით მოაჯახუნებდა ფანჯრებს და აივანზე შემთხვევით დარჩენილ ფერად თავსაფარს ფრიალ-ფრიალით გადაატარებდა სახლების თავზე (ვ. ბეტრა); ერთი საოცრება დაჩემდა: ამოვარჩევდი თხეს, მივადგებოდი თ წყვილი ცულით, მკლავის სიმსხო ნაფოტს ხოშკალივით ვაყრეყინებდი. იმაზე რომ შევიდოდა საქმე, აგერ-აგერ უნდა წაიქცეს ხე, დაანებებდა თავს, გადავვბოლო და განზე და უყურებდა, როგორ დაწვებოდა ეს დევითი წიყელი (ვ. ამირჯ.).

შეინიშნება აგრეთვე, რომ წინადადებაში ჩამოთვლილ მოქმედებათაგან რომელიც უფრო ცხადად გამოხატავს დროულ შემდგომადობას წინამავალ მოქმედებასთან შედარებით, იგი მით უფრო მეტად იხრება ხოლმეობითისაკენ.

შდრ.:

[მარუდა] ბოგანო ოჯახებს ჩამოივლიდა, დაზრდილი, დასუქებული ბატონის შესყიდვაზე მოუზრავდებოდა, ბეს გასცემდა, თამასუქებს ჩამოართმევდა და შემოდგომამდე ბაზარზე ატარებდა დროს (ვ. ამირჯ.); პავლუშა ათს დაითვლიდა გუნებაში და უცებ ხელს დაიქნევდა — მორჩა, ჩიტი გამოფრინდა, და სწორედ მაშინ ორკესტრი ტუშს დასცხებდა (ნ. დუმბ.); გოგოს ფეხებში თითქოს ცეცხლის ალი გაუჩრებდა, ნაბიჯი აერეოდა. შემკრთალი მივარდებოდა ლობისაკენ, ერთს კუშტად გახედავდა მძღოლს, — „მეხი კი დავარტყო“, — და როცა მარტო დარჩებოდა, ნაბიჯგამართული, სხეულის ყოველი ნაკეთის სასიამოვნო შეგრძნებით განაგრძობდა გზას (რ. ინან.); დაავადებდა ვინმე შაურთან, ვთქვათ, იაქიან ოთხუთხედზე: მარუდას ბიჭი

ფინჯნის ქვეშ კამათელს აარახრახებდა, ლამბაქიანად მავიდასე დაღკამ-
და და ფინჯანს ახდლიდა (ჟ. ამირჯ.).

ნიშანდობლივია, რომ ამგვარ წინადადებებში ზმნათა ეს დრო-
ული შემდგომადობა ზოგჯერ დროის ზმნისართებისა (მერე, შემდეგ,
მაშინვე...) და მათი სინონიმური სიტყვების მეზობლობითაც არის შე-
მაგრებული. ამგვარი ფორმები სემანტიკურად უფრო ახლოსაა ხოლ-
მეობითის ნაკვეთთან, მაგრამ მაინც გაჭირდებოდა ხოლმეობითებად
მათი კვალიფიკაცია.

შდრ.:

გოგი ფულს გამოართმევდა, კარს გააღებდა და ეზოს მოათვა-
ლიერებდა. მერე გამოიძურწებოდა და კედელ-კედელ ქუბაში გა-
მოვიდოდა. აისორ მებაპიროსეს სახელოზე მოქაჩავდა და ჩუმი ხმო-
ეტყუოდა (თ. ქილა); გაყვებოდა მაშინ ის დარჩენილი კაცი და ნახავ-
და, საღაც შიიტანდენ (ჟ. ამირჯ.); მაშინღა გადაადგამდენ რამ-
დენიმე ნაბიჯს, როცა თავის ირგვლივ შთლად მოატიტვლებდენ ბაღახის-
გან მიწას (გ. პეტრ.); შემოდგომაზე ისევე ჩამოივლიდა, ფასის განხვევებს
გადაიხდიდა და ბატებს გაირეკავდა (ჟ. ამირჯ.); გზაზე კი არ გაი-
ვლიდა ხუთი წუთი და ჩამოიბურძაყებდა გახუნებული, დანკურეულო
თეიმცლელო, გადმოყოფდა მტვირთავს კბილებაქათქათებული მჯლოლი და
სავალდებულო საღამევით გადამოიძახებდა (რ. ინან.).

უწყვეტლისა და ხოლმეობითის შინაარსობრივი სხვაობები კარგ-
ვად ჩანს დროის გარემოებით დამოკიდებულ სხვა ტიპის წინადადე-
ბებში. თუ რთული წინადადების ზმნებით გამოხატული მოქმედების
დროითი შეპირობებულობა ჩვეულებითია და წარსულში არაერთგზის
მომხდარ ფაქტს გამოხატავს, მაშინ უწყვეტელი გვექნება (ფორმა იქ-
ნებ ხშირად ზმნას ხოლმეობითისა ჰქონდეს — პრევერბიანი, მაგრამ
სემანტიკურად იგი უწყვეტელს შეესაბამება და ზმნისწინსაც ამ შემ-
თხვევაში წარმოქმნის ფუნქცია აქვს და არა უღლებისა). მაგალითად:

ნაშუადღევს, საქმეს რომ მოვათავებდლი, იწყებოდა დღის განმავლო-
ბაში განვლილი მასალის გამოკითხვა (ნ. ღუმბ.); საქმეზე რომ გაეკუთვნიდნენ,
თან წაიყვანდა ხოლმე (თ. ქილა); როგორც კი სამუშაოდან დაბრუნ-
დებოდა, მისი ხელი არ გაჩერდებოდა (რ. ინან.); მაგრამ რაწამს და-
უწყებდა თავის წვილს ამ საგანზედ ლაპარაკს, შეილი ჩამოიფხატავდა
თვლებზედ ქუდს, ამოიოხრებდა და უპასუხებდა (ალ. ყაზბ.).

ამ ტიპის წინადადებებში საგულისხმოა მოქმედების ერთდროულო-
ბის ან ჩვეულებითობის აღმნიშვნელი ლექსიკურ ან გრამატიკულ სა-
შუალებათა გამოყენება (შდრ. ხოლმე³⁵, რაწამს, როგორც კი, რომ...).

35 ხოლმე ნაწილაკის მქონებლობა ამ ნაწილაკის მრავალგზისობის სემანტიკის
გამო განსაკუთრებით ამცირებს ხოლმეობითის დამოუკიდებელ ფუნქციონალურ ლი-
რებულებას და სემანტიკურად უწყვეტელოან აიკვებებს.

ხოლმეობითის ნაკეთი ფუნქციურად მკვიდრდება ისეთ რთულ წინადადებებში, რომლებშიც აქცენტირებულია მოქმედებათა დროული ურთიერთგანპირობებულობა და, რაც მთავარია, მითითებაა ერთ კონკრეტულ შემთხვევაზე და არა მრავალგზის გამეორებულ (თუ მოსალოდნელ) მოქმედებებზე. მაგალითად:

მე ვცდილობდი მოწინააღმდეგე ისე დამეღალა, რომ ხელი ათროლებოდა და, როცა ხმალს გაავადებინებდი, დამბანის დამიზნება მარცხენა ხელით ვერ მოგებრებოდა (ნ. ლორთქ.); დაიჯინა, რომ როცა მეფე ალექსანდროვის ბალიდან, სადაც მას უნდა დაერგო ნაძვის ხეები, გამოვიდოდა და იქვე მყოფ ჩვენს საზაფხულო ბანაკში შევმოდგამოდა ფეხს, უნდა შეხვედროდნენ ამ სათამაშო ზარბაზნის სროლით (დ. კლ.); [გადაწყდა]... როცა ის სახლიდან სადმე წავიდოდა, შინ შეიტანდნენ და იქ დაკიდებდნენ (ნ. ლორთქ.); მაგრამ კარგად იცოდა: ტყუილი იყო მისი ფიქრი, როცა მთუნდებოდა, მაშინ წაიყვანდა წამყვანი (გ. პეტრ.).

V. მაშასადამე, უწყვეტის ჩვეულებითობისა და უსრულობის სემანტიკას ხოლმეობითი შედარებით უფრო კონკრეტული დროული მიპართებისა და დასრულებული მოქმედების აღნიშვნის ფუნქციით დაუპირისპირდა. ამ მხრივ აღსანიშნავია **სანამ, მანამ, ვიდრე** საკავშირებელსიტყვებიანი დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებში მისი გამოყენება. უწყვეტის ნაკეთის შემცველ ამგვარ შეპიტყვებებში გამოხატულია ორი სხვადასხვა მოქმედების ერთდროულობა, თანაარსებობა. მაგალითად:

ერთ წამს კი, მინამ იხდიდა, მტკვრისათვის თვალი არ მოუშორებია (ილია); სანამ ალი მყვანდა, მეფე ვიყავი და დოვლათიც დიდი მქონდა (ვაკა).

მაგრამ, თუ ამ მოქმედებათა დროული თანამიმდევრობის გამოხატვაა სააქირო, ამ ფუნქციის ხოლმეობითის ნაკეთი კისრულობას, რადვანაც მისთვის ბუნებრივია გამოხატოს არა წარსული საერთოდ, არამედ წარსულის რომელიღაც მონაკვეთის შემდგომი დრო. ამის გამო ხოლმეობითის ნაკეთს შეუძლია მოქმედებათა შესრულება განასხვავოს დროული უწინარესობა-შემდგომადობით. მაგალითად:

ერთ დღეს ციხის შტაბის უფროსის პირით შემომითვალა, ორი თვის შვებულება ამდღე და ბათუმს გაემორბოდი, სანამ იქაურობა დამშვიდებოდა და მიივიწყებდა ინციდენტს (დ. კლ.); გაჩუმებულნი, სულგანაბლნი და ხმაგამენდილნი მიდიოდნენ, როგორც უსულო მოჩვენებანი, ვიდრე ტყეში შევიდოდნენ (ალ. ყაზბ.); სანამ მთლად აღგებოდა, მის წინ გაზნდა ახალგაზრდა აფხაზი და უპირებდა გულზე კოცნას (ნ. ლორთქ.); მანამ ასავალ-გორის ხევში გადაამივიდოდნენ, გორის პირში მოეპარ თვალი (ვაკა); მინამ სამოვარს შემოიტანდნენ, მიეწმამ გაფიცებულ ტახტზე და თავი ფიქრებს მივდევ (ილია); სანამ ჩვენ ავდგებოდით, პირს დავიბანდით, გავი-

ბარსებოდიო და გამოგეწყობოდიო, ის სულ ოთახის შუაში იდგა ლათვის ვეება ზურგს ზურგს უკან მალავდა (რ. ინან); სანამდე ზარანეასთან შევიდოდი, ...მთელი დღე ვზერე მადამო, სოფელი და სახლი (ვ. ანარკა); ეკლესია, სანამ დაანგრევენ, ვერ კლუხად ვადავოეს, მერე საშობად (ნ. დუმბ.); სანამ სახელს დავარქმევდი, მანამდე გაიქცა (თ. ჭილა); მაგრამ ვიდრე მოასწრებდნენ რამე ელონათ, წამოვიდა წვიმა (გ. პეტრ.); მაგრამ ვიდრე მოთხრობის ბოლომდე გავიდოდი, ამასობაში, ის მურობა გოგო უკვე წამოჩიტდა, წამოიზარდა (გ. ლეონ); ასე ცხოვრობდა ვიორგა, სანამ მიიღო თოფის ჩუქებას. დაპირდებოდა (თ. ჭილა).

ამ წინადადებებში გამოხატულია მოქმედებათა ისეთი დროული თანამიმდევრობა, რომლის დროსაც ერთი ცოტათი უფრო ადრე იწყება, ვიდრე მეორე (ხოლმეობითით წარმოდგენილი) და გარკვეული დროის განმავლობაში „თანაარსებობენ“. მაგრამ, თუ ამ კონსტრუქციასი ჩაერთვება არ ნაწილავი, მაშინ გადმოიცემა უკვე მოქმედებათა ისეთი თანამიმდევრობა, რომლის დროსაც მხოლოდ ერთ-ერთის დასრულების შემდეგ იწყება მეორე (ხოლმეობითით წარმოდგენილი).
შდრ.:

ასე რომ, ისევ თავის შეკავება ჯობდა არამკითხე-მოამბეობას, სანამ თერთონ ისინი პრ დაუძახებდნენ და თერთონ ისინი არ ჩაირვედნენ საქმეში (თ. ჭილა); საჭირო იყო შეჩვევა მის სატარებლად, რადგან მანქანა უღატინებდა ცხვირის ნესტოებს და სანამ არ შეეჩვეოდა კაცი, დიდხანს ვერ იჯებოდა მას (დ. კლდე); სასინჯ გადაღებებს კი მანამდე ვერ დავიწყებდით, სანამ დეკორაციას არ აავებდნენ („მნათ.“); ზალხი ითხოვდა, რომ გასვენება გადაეღოთ იმ დრომდე, სანამ გზები არ გაიხსნებოდა და ხალხს მიეცეოდა სამუალება დასწრებოდა საყვარელი მოძვარის გასვენებას (დ. კლდე); ...იყო ერთი ბჭობა და კამათი, სანამ კარადისხელა საათი არ აუწყებდათ, რომ ამ დღეს აღარაფერი მოესწრებოდა (თ. ჭილა); ვიდრე არ მივიდოდი და ხელით არ შევეხებოდი, იდგა ასე მონუსხულივით (ნ. დუმბ.); რაიმე პრაქტიკული საკითხის გადაწყვეტას ხელს რომ მოჰყიდებდა, სანამ ბოლომდე არ მიიყვანდა, არ მოისვენებდა („დროშა“).

სანამ/მანამ/ვიდრე საკავშირებელსიტყვებიან კონსტრუქციასი ხოლმეობითს ფუნქციურად შეესაბამება უარყოფითნაწილაკიანი ნამყო სრული.

მაგალითად:

ვიჯქი ასე გაშტერებული, ვიდრე დამლაგებელმა ქალმა არ შემანჯღრია და არ მოთხრა (ნ. დუმბ.).

შესაძლებელია: ვიდრე შემანჯღრევდა და მეტყოდა.

მირბოდა მანამდე, სანამ ველი არ გათავდა და ფლატემ არ გადაუღობა გზა (რ. ინან).

შესაძლებელია: სანამ გათავდებოდა და გადაუღობავდა

და ა. შ.³⁶

შეინიშნება, რომ არ-ნაწილაკიანი ნამყო სრულის შესაბამის ფორმებში თანამიმდევრულ მოქმედებათა ბოლო მომენტზეა აქცენტი გადატანილი, ხოლმეობითის ნაკვეთიანი კონსტრუქციით კი უფრო მოქმედებათა ლოგიკური თანამიმდევრობა, თანაარსებობა, ურთიერთშეპირობებულობა გამოიხატება.

VI. ნიშანდობლივია ხოლმეობითის გამოყენება აგრეთვე ისეთ დამოკიდებულ წინადადებაში, რომელსაც მთავარ წინადადებად აქვს ე. წ. „ცნობიერება-წრისა“ და „მეტყველება-წრისა“ ზმნათა შემცველი შესიტყვებები. ხოლმეობითის ნაკვეთიან კონსტრუქციაში ეს ზმნები, წესისამებრ, ნამყო დროის ფორმებია და ძირითადად, უწყვეტლისა და წყვეტილის (ნამყო სრულის) ნაკვეთებს შეესაბამება. ყველაზე პროდუქტიულია ცოდნა, დარწმუნება, გაფიქრება, შენიშვნა, გრძნობა, დანახვა, თქმა... სახელზმნებისაგან ნაწარმოები ფორმები. ხოლმეობითის ნაკვეთიან ამგვარ დამოკიდებულ წინადადებაებში წარმოდგენილია ერთგვარი ახსნა, განმარტება მთავარი წინადადებათი გამოხატული „ცნობიერების ფაქტისა“. ხოლმეობითის ნაკვეთით გამოხატული მოქმედება აქაც შემდგომადია მთავარი წინადადების ზმნით გამოხატული მოქმედების მიმართ.

მაგალითები:

იმან იცოდა, რომ ღირსეულად დაუხედებოდა ძალის მომტანს (ალ. ყაზბ.); ყველა გრძნობდა, რომ თავდადალებული შეიარაღებული ხალხი ადვილად არ დანებდებოდა (ალ. ყაზბ.); გავიმ აშკარად დაინახა, რომ იგი ელგუჯას და იმის ახსნაგებს ვერც დაიჭერდა და ვერც დახოცავდა (ალ. ყაზბ.); ასე ფიქრობდნენ მოწინააღმდეგენი და იმედინად იყვნენ, რომ თავიანთ განზრახვას გაიტანდნენ (დ. კლდ.); ადგილობრივი მმართველობა შიშობდა, რომ განკარგულების გამოცხადებას მოჰყვებოდა არეულობა, რომ მურღულულები ასე ადვილად არ დატოვებდნენ თავიანთ სახლ-კარს, არ აიყრებოდნენ და არ გადაიკარგებოდნენ ვინ იცის სად (დ. კლდ.); მოწინააღმდეგეებმა გამოაცხადეს, რომ ისინი მეტ გრანდიოზულ ბანკეტს გამომართავდნენ მე (დ. კლდ.); მივხვდი დროზე, ამას შეურაცხყოფად მიიღებდით კიდევ (ჭ. ამირჯ.); დარწმუნებული ვიყავი, რომ ერთხელ მაინც გამომელაპარაკებოდა (ჭ. ამირჯ.); იმედი გექონდა, რომ ღლეს თუ ზვალ გაეხმებოდა ჩვენ მიერ დაგებულ რომელიმე მახეში (ჭ. ამირჯ.); მეჩვენებოდა, რომ ცოტაც და, როგორც სცენას — ფარდა, ისე დაფარავდა ეს საბანი მის მშვიდ, ღმილით მოვარაყებულ სევდიან თვალებს (რ. ინან.); ვინ იტყვებდა, რომ ციხეში არ გაატარებდი შენს წუთისოფელს (რ. ინან.); ასე

³⁶ ამ ტიპის შესაბამისობათა შესახებ უფრო ვრცლად იხ. ჩვენ: მყოფადის კავშირებითის ნაკვეთისათვის ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, V, 1983, გვ. 70—73.

მოილაპარაკეს: ერთ კვირაში ბოლო სთხმში წავიდოდა, მშობლებს ჩამოიყვანდა და თოვლას დანიშნავდა (რ. ინან.); არ მეგონა, თუ გეწყინებოდა (ნ. დუმბ.); ვიცოდი, ნენა, რომ გაავიწყებდი ქვეყანას (ნ. დუმბ.); იტყოდა მასწავლებელი და გოგამ იცოდა, რომ ახლანის ტარილს დაიწყებდა (თ. ჭილა); ვიფიქრე დაგავიანდებოდა და იმიტომ მოვედი (თ. ჭილა); ყოველთვის ფიქრობდა რომ ხვალ, ხვალ უსათუოდ გააკეთებდა დედისათვის რამეს, წაიყვანდა სადმე, ექიმს აჩვენებდა, მოუვლიდა, თავზე დაადებოდა (თ. ჭილა); გლებები ფიქრობდნენ, რომ ამ დიდი დღესასწაულისათვის მთახერხებდნენ გაესაღებინათ ღარჩენილი ღვინო (ნ. ლორთქ.); ...და არასოდეს არ უფიქრია, რომ ერთხელ აქაც გადმოიფრენდა უკუნ ღამეში (გ. პეტრ.); მას გაეღიმა კიდევაც, როდესაც გაიფიქრა, რომ სიამოვნებით მოსტაცებდა სამუკას იათამხეს და თვითონ გადაიყვანდა ქისტეთში (გ. რჩეულ.).

ამგვარ მთავარ წინადადებათა ზმნების ერთგვარი მოდალური სემანტიკის გამო მათი კავშირი დამოკიდებული წინადადების ზნნასთან განსაკუთრებით მჭიდროა და სინტაგმატურს უახლოვდება. ასეთი დამოკიდებული წინადადება, ჩვეულებრივ, დამატებითი დამოკიდებული სახისაა და, მაშასადამე, მთავარი წინადადების ზმნის შინაგან სინტაქსთან უშუალოდ დაკავშირებული. ალბათ ამით უნდა აიხსნას მთავარი წინადადების განსაკუთრებული სიმოკლე და მისწრაფება დამოკიდებულთან შერწყმისაკენ (მდრ. ზემოთ დამოწმებული: არ მეგონა, თუ გეწყინებოდა; ვიფიქრე დაგავიანდებოდა და მისთ. ასეთივეა: „ოჯახს მოვეციდი, მეგონა გავბედნიერდებოდი“, — დ. კლდ., „მეგონა, აღარასოდეს არ იხურვებდი ვინმე სხვის დანახვას“, — „საუწყვე“ და სხვ.).

ამავე რიგში განიხილება ხოლმეობითის ნაკვეთის აქტიური მოხმარება დადასტურების გამოხატველ ჩართულ სიტყვა-გამოთქმებთან: რასაკვირველია, რა(ღა) თქმა უნდა:

აგრა-დაყრა, რასაკვირველია, ვაპრობას შეაფერხებდა (დ. კლდ.); რაღა თქმა უნდა, რომ მზადის დაიჭერდნენ (ალ. ყაზბ.); მარტოხელა კაცს, რა თქმა უნდა, გამიხარდებოდა მისი მოსვლა (ჰ. ამირჯ.); მისი გარდაცვალების შემდეგ, რა თქმა უნდა, მე ბაირადებს სახლის თავზე ვერ დავტოვებდი (ნ. ლორთქ.).

VII. ხოლმეობითის ნაკვეთით გადმოცემული მოქმედება, როგორც წარსულის რომელიღაც კონკრეტული „წერტილის“ შემდეგ შესასრულებელი, ფართო მოდალური ნიუანსების დამტვეია. სწორედ „შესასრულებლობის“ ეს სემანტიკა აახლოებს ამ ნაკვეთს ირეალურობის შინაარსთან. მაგრამ ხოლმეობითით გადმოცემულ მოქმედებას მოსაუბრე არ აფასებს როგორც ირეალობას; იგი მისთვის რეალური ფაქტია, უფრო ზუსტად, ფაქტად ქცევის რეალური შესაძლებლობა, რეალური

პოტენციის გამოხატულება. იგი ისეთივე ირეალობაა, როგორც მომავალი დრო, მყოფადი. ხოლმეობითი ნამყო დროისათვის იგივეა, რაც მყოფადი აწმყოსათვის.

საუბრის მომენტისათვის ხოლმეობითით გადმოცემული შინაარსი წარსულში შესაძლებელი მოქმედების ვარაუდს კი არ გამოხატავს, არამედ თვით ამ მოქმედების შესაძლებლობას. ამ დიდი კონტექსტური პოტენციურობის გამო ხოლმეობითის ნაკვითი გამოხატული მოქმედება სემანტიკურად ხშირად მთელ ფრაზას, ორ-სამწევრიან შესიტყვებას შეესაბამება. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია შესაძლებლობის, ერთგვარი პოტენციალის ფუნქციით გამოყენებული ხოლმეობითი, რომელიც სემანტიკურად მოდალურსიტყვიანი ორწევრა შესიტყვების თანაფარდია. მაგალითად:

სადაც სრულიად მოულოდნელია, იქაც კი იპოვიდით ამ მძაფრ, ავადმყოფურ მუღმივ ფიქრს ერთენული სხეულის შენარჩუნებისას (ნ. ლორთქ.).

იპოვიდით = შეგეძლოთ/შეიძლებოდა პოვნა.

ერთი ფეხის გადადგმა გამოიწვევდა, ყოველ ეჭვს გარეშე, საშინელ სისხლის ღვრას, დაუსრულებელს, დაუფასებელს (დ. კლდ.).

გამოიწვევდა = შეეძლო გამოწვევა.

ქალის მისვლაზედ გამოვიდა კაცი, რომელშიც ციციკას იცნობდით (ალ. ყაზბ.).

იცნობდით = შეიძლებოდა/შეგეძლოთ ცნობა.

შიშის დაძლევის დავიჯერებდი კიდევ, მაგრამ თქვენი თავსუფალი საქციელი ვერ დავიჯერე (ჭ. ამირჯ.).

დავიჯერებდი = შეეძლო დავიჯერება.

დათა თუთაშხია ისეთი კაცი იყო, უმსგავსოებას ვერ მოითმენდა (ჭ. ამირჯ.).

ვერ მოითმენდა = არ შეეძლო მოთმენა.

ერთი წამითაც ვერ გავქლებდი უმისოდ (გ. რჩეულ.).

ვერ გავძლებდი = არ შეეძლო გაძლება.

საქმეს გააადვილებდა ქარხნების გადატანა და ძველ ადგილას რეზერვუარების აგება... (დ. კლდ.).

გააადვილებდა = გაადვილება შეეძლო.

არიქა, გავარდი, ზევიდან შემოუარე, შორს ვერ წავიდოდა, მე აქედან დავხვდები (ნ. დუმბ.).

ვერ წავიდოდა = ვერ შეძლებდა წასვლას.

[ელგუჯამ]... ისეთი სამზერავი ადგილი დაიჭირა, საიდანაც თვით უხილავი ყველადფრს დაინახავდა და თვალუფრის დევნა შეეძლო (ალ. ყაზბ.).

ამ უკანასკნელ წინადადებაში კარგად ჩანს რეალური შესაძლებლობის გამოხატვის ფუნქციით გამოყენებული ხოლმეობითის ნაკვეთისა (დაინახავდა) და მოდალურსიტყვიანი შესიტყვების (დევნა შეეძლო) სინტაქსური სინონიმია. დაინახავდა იგივეა, რაც შეეძლო დაინახვა, ხოლო, თავის მხრივ, დევნა შეეძლო = გაადევნებდა.

VIII. როდესაც ერთი მოქმედება მეორეს უსწრებს ან მოსდევს, მათ შორის ერთგვარი მიზეზ-შედეგობრივი მიმართება მყარდება, მეტნაკლები ინტენსივობით გამოხატული. ამიტომ ხოლმეობითის ნაკვეთით შედგენილი კონსტრუქციებისათვის ბუნებრივია მიზეზ-შედეგობრივად დაკავშირებულ მოქმედებათა გადმოცემა.

ორი მოქმედების მიზეზ-შედეგობითი სემანტიკით დაკავშირებისას ხოლმეობითს შეუძლია გამოხატოს როგორც მიზეზი, ისე შედეგიც, რამდენადაც ორივე მოტივირებული მოქმედებაა, ხოლო მოტივაცია ხოლმეობითის სპეციფიკური ფუნქციაა.

ხოლმეობითი მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში:

ჩენი მგზავრებიც აქ მოეშურებოდნენ, რადგან გათენებას მოეღწევა და მეტ გზას ვეღარ გაივლიდნენ ღამით, და დღე სიარული კი ჯერ საშიში იყო (ალ. ყაზბ.); ის იმედს არა ჰკარავდა, რომ რამდენ ხანსაც უნდა გაგრძელებულიყო ამგვარი მდგომარეობა, ბოლოს ელგუჯა მაინც ხელში უნდა ჩავარდნოდა, რადგანაც ვაგი ამ ადგილებს არ მოშორდებოდა და გორაზე მომწყვედეულებს ყოველის მხრით გამოსასვლელს გზას შეუკრავდა (ალ. ყაზბ.); სხვა შესაძლებლობა არ არის, ეს თუმანი იმ მრეწველმა შეუმჩნეველად ჩამიგდო ჯიბეში, ქრთამს ბირდაპირ ვერ შემომხვედავდაო (შ. ამირეჯ.).

ზოგჯერ კავშირი მიზეზსა და შედეგს შორის ფორმალურად (სინტაქსურად) არცაა გამოხატული, იგი უფრო ასოციაციურია, თუმცა ამ კავშირის სემანტიკური მოტივაცია მაინც ნათელია.

შდრ.:

მართლა კარგი იქნებოდა იქ ცხოვრება, გამოქვაბულში, მე ვინა დირებდი, ხანდახან მასაც წავიყვანდი, მაგრამ მთაში საშიშია (გ. რჩეულ.); რა დაგღუ-

პავლა, ბიჭო. ა გ ხ დ ი და ის კაცი თავის ქალას, ჩაიხედავდა და დაახუ-
რა ვ და იმავე წუთში... (ნ. ლუპხ.).

ხოლმეობითის ნაკვთმა შეიძლება გამოხატოს მოსალოდნელი შე-
დეგი:

გერც მათსას გაიგონებდი რამეს, ყველა ერთმანეთის გადასწრებას ცლი-
ლობდა (ჭ. ამირჯ.); რა უნდა შეთქვა, შენ ხომ მაინც ვერ წამოხვიდოდი,
დღეს-ხვალ ეპისკოპოსი მობრძანდება (ნ. ლორთქ.).

ხოლმეობითის ნაკვთით პირობითი და შედეგობითი მოძალობების
გადმოცემასაც ორი მოქმედების მიზეზ-შედეგობრივად დაკავშირების
შესაძლებლობა უდევს საფუძვლად. ამგვარ კონსტრუქციაში გამოყე-
ნებული ხოლმეობითი ერთი შეხედვით სემანტიკურად უფრო ახლო
ჩანს ირეალურობასთან, ვიდრე რეალური კილოს შინაარსთან. მაგრამ
ხოლმეობითის ნაკვთით შედგენილ კონსტრუქციათა (პირველ რიგში
კი სწორედ პირობით-შედეგობითი შინაარსის გამომხატველი შესი-
ტყვებებისა) ანალიზი და მათი შეპირისპირება ანალოგიური შინაარ-
სის გადმომცემ სხვა საშუალებებთან სხვა სურათს გვიჩვენებს: **ხოლმე-
ობითის ნაკვთი მხოლოდ თხრობითი კილოსათვის დამახასიათებელ
კონსტრუქციებში მონაწილეობს.**

IX. ნებისმიერი ნაკვთის სემანტიკური ანალიზი ძირითადად დროის,
კილოსა და ასპექტის მნიშვნელობათა ურთიერთშეთანხმების პრინციპ-
ზეა დამყარებული³⁷. ამ გრამატიკულ კატეგორიათა ნაირსახეობათა კომ-
ბინაციებით მიიღება ყველა ის სემანტიკური ნიუანსი, რათაც ნაკვთე-
ბის მნიშვნელობები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან³⁸. ამასთან, ზმნუ-
რი ფორმა არ არის გრამატიკულ კატეგორიათა მარტივო ჯამი. ენობრივ
სისტემაში იგი „მოქმედებს როგორც მთლიანი, ინტეგრირებული მო-
ცემულობა და არა როგორც შემადგენელ ელემენტთა ჯამი“³⁹.

ბუნებრივია, დაისმის ამ კატეგორიათა ურთიერთშეხამებისა და
შეთვისების საკითხიც⁴⁰. ხშირად ერთი გარკვეული კატეგორიის მქო-
ნებლობა გამოარიცხავს მეორის შესაძლებლობას, ანდა იწვევს მის ნე-
იტრალიზაციას. მეორე მხრივ, ამჟამად შეიმჩნევა ფუნქციითა მხრივ
ურთიერთგანპირობებულობა. ასპექტობრივად „ერთმანეთს გამორი-

37 ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის უღვლილების პრინციპები, ქართული
ზმნის უღვლილების ფორმობრივი და სემანტიკური ანალიზი, ენათმეცნიერების ინ-
ტიტუტის XLI სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 1984, გვ. 26.

38 ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის უღვლილების პრინციპები..., გვ. 27.

39 ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის
პრინციპები, თბ., 1980, გვ. 370.

40 იქვე, გვ. 84.

ცხადენ უსრული და სრული, წყვეტილი და განგრძობითი, ერთგზისი და შრავალგზისი, მაგრამ დასაშვებია უსრული, წყვეტილი და ერთგზისი, სრული, წყვეტილი და ერთგზისი და ა. შ.⁴¹. ისიც ბუნებრივია, რომ „ერთსა და იმავე კონტექსტში ერთი და იმავე ფორმით შეიძლება გამოიხატებოდეს დროის ან კილოს მხოლოდ თითო-თითო მნიშვნელობა“⁴².

გფიქრობთ, ამ მხრივ რამდენადმე რთულად დგას ხოლმეობითის საკითხი. მისი მთავარი სემანტიკური ნიშნის ჩამოყალიბება დაკავშირებული ჩანს ზმნისწინით გაუდიფერენცირებელ უწყვეტლის წარსულდროიან ფორმებში ზმნისწინის მნიშვნელობის გადააზრებასთან. ამგვარად, ზმნისწინთან მომავალი დროის გამოხატვის ფუნქციის დაკავშირების შედეგად ძველი ქართულის პრევერბიანი უწყვეტლის ფორმაში ერთდროულად ორი დროული მიმართების აღნიშვნის შესაძლებლობა გაჩნდა: უწყვეტლის ფუძისეული წარსული დროისა და ზმნისწინისეული მომავლისა. ამგვარივე მოვლენა იყო საგულევებელი აწყყოსა და მყოფადის ნაკვეთა შემთხვევაშიც, მაგრამ აქ ასპექტობრივმა სხვაობამ განაპირობა აწყყო დროის ნეიტრალიზაცია, — ზმნისწინის სრული ასპექტის სემანტიკამ შეუთავსებელი გახადა აწყყოს შინაარსი. რამდენადაც წარსული დროისათვის ერთნაირად შესაძლებელია როგორც სრული, ისე უსრული ასპექტის გამოხატვა, უწყვეტლის ფორმას მიეცა ამ ასპექტობრივი სხვაობის გამოხატვის შესაძლებლობა. მაგრამ სრული ასპექტის სემანტიკას მყოფადის წრეში თავისთავად დაუკავშირდა მომავლის მნიშვნელობაც და ყოველივე ამის შედეგად მივიღეთ ხოლმეობითის ნაკვეთის ორი ძირითადი ფუნქცია: 1) უწყვეტლის სრული ასპექტის შინაარსით გამოყენება და 2) წარსულისა და მომავალი დროის მნიშვნელობათა შეხვედრით მიღებული რთული დროული შინაარსის — მომავალი წარსულში — გამოხატვა. ამ რთული დროული დამოკიდებულებების ასახვის უნარი უნდა დასდებოდა საფუძვლად პიროვითი შინაარსის წინადადებებში ხოლმეობითის გამოყენებას.

X. ხოლმეობითის ჩამოყალიბებამდე ძველ ქართულში ამ შინაარსის გადმოსაცემად გამოყენებულ მორფოლოგიურ სტრუქტურასაც ანალოგიური სემანტიკური საფუძველი უჩანს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართული ენის განვითარების გარკვეულ საფეხურზე -მცა ნაწილაკი, როგორც გამომხატველი მომავალი დროისა და კავშირებითობისა, ცალკეულ კონტექსტებში ახდენდა ნამყო დროის შინაარსის ნეიტრალიზაციას. შემდგომ, -მცა-ს მნიშვნელო-

41 ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის უღვლილების პრინციპები..., გვ. 29.

42 იქვე, გვ. 29.

ლაკთან⁴⁸. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ამგვარ კონსტრუქციებში მისი ხმარება თითქმის სისტემადაა ქცეული. შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ თუ ნაწილაკი თანამედროვე ქართულში ხშირად -მცა-ს ანალოგიური ფუნქციით გვევლინება და, თანაც, სწორედ პირობითი შინაარსის წინადადებებში (იხ. ქვემოთ).

რაც შეეხება პირობითობას, მას ფართო სემანტიკური ველი აქვს. მას შეიძლება მივაკუთვნოთ არა მხოლოდ ტრადიციულად გამოყოფილი წინადადების ერთ-ერთი ტიპი, ე. წ. პირობით-შედევობითი წინადადებები, არამედ ორი მოქმედების ნებისმიერი მიზეზ-შედევობრივი დაკავშირება... ამიტომ პირობით-შედევობითი დამოკიდებულებაა გამონათული როგორც ამ წინადადებაში: „[სალიხას]... შეჰპირდნენ ყველაფრის პატიებას და დასაჩუქრებასაც, თუ ის მოჰკლავდა აბუზარას, ან ხელს შეუწყობდა მთავრობას მის მოსაკლავად“ (დ. კლდ.), ისე გარკვეულწილად ამაშიც: „[გადაწყდა], როცა ის სახლიდან სადმე წავივლიდა, შინ შეიტანდნენ და იქ დაკიდებდნენ“ (ნ. ლორთქ.); „ისე გახდა, დინოზავრები ველარ იცნობდნენ“ (გ. პეტრ.).

პირობითი შინაარსი ხშირად სცილდება ერთი ტიპის ქვეწყობილი წინადადების ფარგლებს. შეიძლება ვილაპარაკოთ ე. წ. ასოციაციური პირობითობის შესახებ, — როდესაც ერთი წინადადების ფარგლებში ორი მოქმედების მიზეზ-შედევობრივი დაკავშირება ვერ ჩატეულა, ზოგჯერ კი ერთი მოქმედება (უმეტესწილად პირობა) მთლიანად ელიპტირებულია და იგი მხოლოდ მკითხველის ცნობიერებაში აღდგება. მაგალითად:

ერთი კია, თათრის ადგილას, ღმერთს მადლობას შევწირავდი ვადარჩენისათვის და სამუდამოდ დავივიწყებდი ურუქის გზას (თ. ქალ).

ფრაზა თათრის ადგილას ასრულებს გარკვეული პირობის როლს და შეესაბამება შესიტყვებას: მე რომ თათარი ვყოფილიყავი...

ასევე:

სადმე მყუდრო და დაბალ სენაკში, — აი, იქ მთის ცეცხებდა სული... გავანათებდი დაბალ, მყუდრო, ბნელ სენაკს ჩემი სევდის შუქით (ნ. ლორთქ.).

ელიპტირებულია: ...სენაკში რომ ვყოფილიყავი ან რომ ვიყო.

48 ამ შესაძლებლობის დაკავშირებას (უკუთ) თუ ნაწილაკთან ნ. ნათაყ გამოიტყავს (იხ. დსახ. ნაშრ., გვ. 45), მაგრამ მისი ხმარება ისეთ წინადადებებშიც, რომლებსაც პირობით-შედევობითი შინაარსთან არავითარი კავშირი არა აქვს, საკმარის არგუმენტად არ ჩანს: პირობით-შედევობითი შინაარსის გამონათქვა სემანტიკურ-გრამატიკულ საშუალებათა მთელ კომპლექსს მოიცავს (სათანადო ნაკვთები, -მცა ნაწილაკი, გარკვეული კავშირი...).

რა მინდა და სიკვდილი შენი, და გმარხავდი მერე იმ ჭადრის ძირში მუ-
რადას გვერდით და გიტირებდით ორივეს რუსულად (ნ. დუმბ.).

რა მინდა და სიკვდილი შენი = რომ მომკვდარიყავი.

არ წახვიდე, არა! უშენოდ განვიაფდები ქოჩორზე მოგებმევი ჩიხას და გო-
ქსოვდი, ახალუხის საყულოს და გიტირებდით, ოქროს წყლით ფეხებს
ჩაგებანდი (გ. ლენ.).

ელიბტირებულა: თუკი არ წახვიდოდი, ან რომ არ წახვიდოდე.

ასევე პირობით-შედევობითი სემანტიკითაა დაკავშირებული ორი
სხვადასხვა წინადადება ამ შემთხვევებშიც:

ნეტავი, ღმერთი ინებებდეს და ვინმე ამისთანა მოლა გამოჩნდებოდეს! დღეს-
ვე გავაბატანდი ჩემს ქალს და მეფურ ქორწილსაც გადავუხდი (საუენ-
ჯე); თუ გინდოდათ ილიკოს გულის მოგება, ღირსი უნდა გეყოთ. და დნებოდა,
ცალი თვალი ცრემლით აევსებოდა, გაიქცეოდა, არაყს გამოგირბე-
ნიებდა, უბილბილო თუთუნს მოგაწევიებდა, სანაშენოდ ყველაზე
კარგ ვაჭს დაგპირდებოდა და ვინ იცის კიდევ რას (ნ. დუმბ.); უნდოდა
ვინმე ისეთი მგზავრი ეშოვნა, რომელიც მის უბანში წაიყვანდა. ცოტა ხანს მან-
ქანას გააჩერებდა. შინ შეიკრებოდა და ისაუბრებდა (თ. ჭილა);
ერთი წუთიც და ყველაფერი ანასთან ერთად მოწყდებოდა მიწას და ყამარის
ჭურჭელივით გაფრინდებოდა ცაში (თ. ჭილა).

ერთი წუთიც = ერთი წუთიც გავიდოდა. ამ შემთხვევაში პირობით-
შედევობითი შინაარსი ფორმობრივად თანწყობის ფარგლებში განსორ-
ციელდებოდა. სემანტიკურად კი ეს ორი წინადადება ერთმანეთთან
უფრო ქვეწყობის პრინციპით არის დაკავშირებული. შდრ. ამგვარივე
შემთხვევა:

ან რა გასაკვირია, კაცა თავზე ბუხს არ ისვამდა და ვიღაც ქალაქელი ვი-
გინდარას გადაბრუნებულ სიტყვას როგორ მოითმენდა (თ. ჭილა).

იგულისხმება: მაშინ, როცა ბუხს არ ისვამდა, ქალაქელი ვიგინდა-
რას გადაბრუნებულ სიტყვას როგორ მოითმენდა.

ამგვარ წინადადებებში პირობით-შედევობითი შინაარსი ვრცელი
შესიტყვების სიღრმეში „ძევს“ და არა მის ზედაპირზე.

შდრ. აგრეთვე:

მე ვგ ღრუბლების მიმართულება არა მქონია ჩემ აზრად, თორემ უთქვენოდაც:
ეგრე ვიტიყოდი (ილია); ასე წინასწარ არასოდეს არაფერი მცოდნია მე, თორემ
სიამოვნებით მოგახსენებდით, მაგასაც (ჰ. ამირჯ.); კარგი, რომ ზელი არ
შეუხია რომელიმე ულუწიანისათვის, თორემ მთელი ეს ბუტაფორია თავზე და-
იტყდებოდა მის მომწყობს (დ. კლდ.); მე ასე ვიდგებოდი თუნდაც ათ
წელიწადს, მაგრამ ეს უკვე აღარ მოთქვამს (რ. ინან.).

ამ ფართო სემანტიკური შინაარსის გამო პირობითობას ცალკე კი-
ლოდაც გამოყოფდნენ და ზოგჯერ ახლაც გამოყოფენ ხალხმე. მაგრამ
ამ შემთხვევაში მხედველობაში აქვთ პირობითობის გადმოცემი ყვე-
ლაზე გავრცელებული საშუალება — თუ ან რომ კავშირით შეერთებუ-
ლი ცნობილი შესიტყვებები.

XI. ზმნურ ფორმათა გამოყენების თვალსაზრისით პირობითობის
შინაარსი ძალიან „მოქნილია“ და მის გამოსახატავად ნებისმიერი ნაკ-
ვთი შეიძლება იქნეს გამოყენებული (ცხადია, დროული თანამიმდევ-
რობის დაცვის გათვალისწინებით, რაც, საერთოდ, ნებისმიერი კონს-
ტრუქციისათვისაა დამახასიათებელი)⁴⁹. ეს ფაქტიც იმას ადასტურებს,
რომ პირობითობის შინაარსი ნაკვეთის გარეთ უნდა ვეძიოთ. პირობითი
და შედეგობითი შინაარსის განხილვისას სიტყვა კილოზ ბრჭყალებით
მოსხენიება ამ აზრის გამოხატულებას წარმოადგენს და მისი კილოზურ
ფორმად გამოცხადების პირობითობაზე მიუთითებს⁵⁰.

პირობითი შინაარსის გადმოცემაში სინტაქსური კონსტრუქციის
გადამწყვეტ როლზე მიუთითებენ რუსულშიც. ვინაიდან პირობითი ში-
ნაარსი რუსულში შეიძლება გადმოიცეს როგორც სრული (ძირითა-
დად), ისე უსრული ასპექტის ნებისმიერი ფორმით, ამ შინაარსის გად-
მოცემისას გადამწყვეტად თვლიან არა ზმნის ასპექტურ ფორმას, არა-
მედ სინტაქსური კონსტრუქციის გარკვეულ ტიპს⁵¹.

ინდოევროპულ ენებში გამოყოფენ რამდენიმე სახის პირობითობას.
ეს დაყოფა პირველ რიგში კილოზური შინაარსით მათს განსხვავებუ-
ლობას ასახავს. გამოყოფენ ძირითადად რეალურსა და ირეალურ პი-
რობითობას. რუსულში ზოგჯერ გამოყოფენ აგრეთვე პოტენციურ პი-
რობითობას. პოტენციურია ისეთი პირობითობა, როდესაც დამოკიდებ-
ბულ წინადადებაში მოცემული პირობა შეიძლება კი შესრულდეს (მაგ.:
Если он придет (пришел), (то) починит замок.../(то) пусть починит
замок/(то) хоть бы починил замок)⁵², მაგრამ თავისი შინაარსით ისიც
რეალური პირობითობის ჯგუფში შეიძლება მოექცეს. რეალურად მიჩ-
ნეულია ისეთი პირობითობა, როდესაც დამოკიდებულ წინადადებაში
წარმოდგენილი პირობა განხორციელდა, ხორციელდება ანდა განხორ-

⁴⁹ ლ. გეგუჩაძე, მწკრივთა შესაძლო შედარებებისა და დროთა თანამი-
მდევრობის საკითხები ჰიპოთეტურ კონსტრუქციებში, ქართული სიტყვის კულტუ-
რის საკითხები, V, 1983, გვ. 135—164.

⁵⁰ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 209.

⁵¹ М. Я. Гловинская, Семантические типы видовых противопоставлений
русского глагола, М., 1982, გვ. 65.

⁵² Грамматика современного русского литературного языка, М., 1970, გვ.
716. (იხ. აგრეთვე: Н. И. Формановская, Стилистика сложного предло-
жения, М. 1978, გვ. 108—109).

ციელდება. (მაგ.: Если он приезжал в Москву, то приходил к нам — თუკი (საერთოდ) ჩამოვიდოდა მოსკოვში, ჩვენთანაც მოდიოდა)⁵³. ირეალურს კი უწოდებენ ისეთ პირობითობას, რომელიც არც შესრულებულა და არც შეიძლებოდა შესრულებულიყო (მაგ.: Если бы он пришел ко мне вчера, мы бы обо всем договорились — თუკი ის გუშინ ჩემთან მოვიდოდა, ჩვენ ყველაფერზე მოვილაპარაკებდით, შევთანხმდებოდით). ამ წინადადებებს აქვთ განუხორციელებელი შესაძლებლობის ერთიანი მოდალური მნიშვნელობა⁵⁴.

როგორც ვხედავთ, რეალური პირობითობის შემთხვევაში რუსულში თხრობითი კილოს ფორმებია გამოყენებული, ირეალური პირობითობისას კი — კავშირებითისა⁵⁵.

თხრობითი კილოს მოდალობად ითვლება პირობითი შინაარსის გადმოცემა ინგლისურშიც⁵⁶.

ქართულშიც ანალოგიურად შეიძლება პირობითი შინაარსის წინადადებები ორ ჯგუფად დაიყოს: რეალური პირობითობა და ირეალური პირობითობა.

თუ ორი მოქმედების მიზეზ-შედეგობრივი მიმართება მოსაუბრისათვის გარკვეულია, ცხადია, რეალური პირობითობა გვექნება.

მაგალითად:

როგორც კი ფულს მოივდებდა ხელში, მაშინვე მალაზიისაკენ გარბოდა სასმელის საყიდლად („სოფლ. ცხოვრ.“); თუ კაცი გონიერია, სოფელი ღონიერია (ანდაზა); რომ დაეღაპარაებოდი, პირველად უსათუოდ იმას გეტყვოდა, ამქვეყნად ყველაზე კარგი წყალი „საირმა“ და ძალიან მწველისო (თ. კილი); რომ გაწვიმდებოდა, გაშლიდა ჩამოყცილ ფოთლებს და აელვარდებოდა ცისფრად (გ. პეტრ.).

ირეალური იქნება ისეთი პირობითობა, რომელიც მოსაუბრისათვის მხოლოდ შესაძლებლობის დაშვებაა, სასურველობაა, მაგრამ მისი შესრულება ჭერჭერობით ვერ მოხერხებულა ანდა შესაძლებელია საერთოდ არც მოხერხდეს. მაგალითად:

თქვენც რომ ამოვიღიდეთ, კარგს ინებებდით (დ. კლდ.); ღმერთმა დამკარგოს, თუ ამას სიტყვის შნოსათვის ვამბობდე (ვაყა); შესრულებული რომ ასე კარგი გამოდიოდეს, როგორც სიბნელეში წამოწოლილ ხელოვანს გულის საღრმეში გაუხრებია, კაცობრიობა ხელოვნების გარდა სხვის აღარაფერს მოაქცევდა ყურადღებას და ქვეყანა დაიღუპებოდა (ნ. ლორთქ.).

⁵³ Грамматика современного русского литературного языка, გვ. 716.

⁵⁴ იქვე, გვ. 716.

⁵⁵ Н. И. Форманоская, დასახ. ნაშრ., გვ. 109.

⁵⁶ G. O. Curme, English Grammar, New York, 1966, გვ. 245.

XII. ხოლმეობითის ნაკეთის მონაწილეობით შედგენილი პირობითი წინადადებების დაჯგუფება სემანტიკურადაც და სტრუქტურულადაც პირობითობის ორი სახის (რეალურისა და ირეალურის) არსებობაზე მიუთითებს. გამოიყოფა ორი მთავარი ჯგუფი:

1. როდესაც მთავარ წინადადებაში ხოლმეობითის ნაკეთია, დამოკიდებულში კი — კავშირებითი კილოს რომელიმე ნაკეთი (ძირითადად აწმყოს კავშირებითი და კავშირებითის ფუნქციით გამოყენებული II თურმეობითი) — მაკავშირებლად გამოყენებულია მუდამ რომ კავშირი. ეს სტრუქტურა ირეალური პირობითობის გამოსახატავად გამოიყენება, ე. ი. ვადმოიცემა ისეთი პირობითობა, როდესაც პირობა არ (თუ ვერ) სრულდება და სასურველი შედეგი ვერ მიიღწევა.

მაგალითები:

მშვიდი რომ ვკვდებოდე, მშვიდი, და ასი ურემი მე მემებოდე, ჩემს მავს არ ვიკადრებდი (ილია); ...ყველაფერი რომ ვიცოდე, აქ ვი არ ვიჭდებოდი („იცსკ.“); ავეჯი რომ გვქონდეს, როგორღა ვითამაშებდით (რ. ინან.); სიამოვნებით შევეუშვერდი თავს, რომ არ მეუხებოდა ხელეზოდეს (გ. თანჯ.); ღვინოს რომ ვსვამდე, სიმოვნებით ვადღებოდი (ო. ქილა); ...ჩვენ რომ „სატურაიდან“ ავეყოლოდით, უმეველად შეუაში მოვიმწყვდევდით კურდღელს... (ნ. ლორთქ.); თქვენ რომ თვალი გადაგვევლოთ იქაურობისათვის, მაშინ შეამჩნივდით ერთ კაცს.. (ალ. ყაზბ.); მართლაც, ჩვენ რომ ლაჩარი წინაპრები გვეყოლოდა და სილანრით ჩვენი მამული დაეთმოთ, მტერს გაქცეოდნენ, ვინ იცის ახლა სად ვისხდებოდით ქართველები? (გ. ლეონ.); დანა რომ დაგეკრა, წვეთი სისხლი არ გადმოუვიდოდა (ჭ. ამირჯ.); რომ არ გცოდნოდა, ვერაფრით ვერ წარმოიდგენდი, რომ მას აფრენა შეეძლო (თ. ქალ.); შავი რომ ცოდნოდა, ნამდვილ ტყვიას ჩადებდა შიგ და შეზღწილი მომართულობა (ნ. დუმბ.); აი, იქ იმ გამოქვამულში რომ გვეცხოვრა, კარგი იქნებოდა (გ. რჩეულ.); ამისთანა ორიოდე ლექსი რომ წასცდენოდა ვისმეს, აბოლონი, როგორც მარსიაზა, ფეხებიდან თავამდი ტყავს ააძრობდა და პირდაპირ ტრედიაკოვსკისთან ახტუნებდა ფერხულში (ილია); ...ძალით რომ გაეგდოთ, მაინც მოხბრუნდებოდა და, რომ აღარ მიეღოთ, კიშკარზე ჩამოიხბრობდა თავს (ო. ქილა).

2. თუ ხოლმეობითის ნაკეთი დამოკიდებულ წინადადებაშია, მთავარში გვაქვს ან ისევე ხოლმეობითი (უმეტესწილად), ანდა — II თურმეობითი, შედარებით იშვიათად — უწყვეტელი. თუ გვაქვს კომბინაცია **II თურმეობითი + ხოლმეობითი**, წინადადებათა მაკავშირებლად გამოყენებულია აუცილებლად თუ კავშირი. კონსტრუქციაში **ხოლმეობითი/უწყვეტელი + ხოლმეობითი** — თუ-ს გარდა შესაძლებელია რომ კავშირიც და უკავშირო შეერთებაც, ოღონდ ამ შემთხვევაში სათულობის სემანტიკა რამდენადმე შენელებულია და აქცენტირებულია მი-

ზეზ-შედგებობრივად დაკავშირებულ მოქმედებათა დროული განპირობებულობა.

მაგალითები:

ა) II თურმეობითი (მთავარ წინადადებაში) + ხოლმეობითი (დამოკიდებულ წინადადებაში):

თემური მზად იყო გმირი მეტოქისათვის უვნებლობის ფიცი მიეცა, თუკი იგი ნებაყოფლობით დანებდებოდა უქველი გამარჯვების პირზე მდგომ მოპირისპირეს (ლ. სანიკ.); ...იმისთვისა, რომ თუ დენშიკო კიდევ შაქრის მოპარვას დააპირებდა, ხომ ყუთი უნდა გაეღო (ილია).

ბ) ხოლმეობითი + ხოლმეობითი:

ჩემთვის თავს გაიმეტებდა, თუკი ამას გარემოება მოითხოვდა (დ. კლდ.); თუ ვინცთაა, ეს არ დაიყაბულებდა, მაშინ ელგუჯა მოიტაცებდა თავის სატრფოს (ალ. ყაზბ.); ნამდვილ ყანად იგი მხოლოდ მაშინ შეიქნებოდა, თუ აბაღას დაამხოებდა და ილხანთან ვრცელ სამულობელოებს თვითონ დაეპატრონებოდა (ლ. სანიკ.); ცოცხალს თუ ვერ მოგიხვლეთებდა, მკვდარს ამოგთხრიდა, მკვდარს მოგაკლავდა ხელმეორედ, თვითონ თუ ვერ მოესწრებოდა, შეილს დააფიცებდა, შვილთა შვილს, მთელი მოდგმა და ჯილაგი დაედებოდა შესს სამოლდე ლიტრა სისხლს სპილენძის თუნჯებითა და ქვაბებით (ო. ჭილ.); მიზეზი თუ არ მეცოდინებოდა, ხომ ვერ ვიმართლებდი თავს ასე? (ჭ. ამირჯ.).

გ) უწყვეტელი (მთავარ წინადადებაში) + ხოლმეობითი (დამოკიდებულ წინადადებაში):

თუ ნარინი თეგუდარის მფარველობაზე ხელს არ აიღებდა, მაშინ მის წინააღმდეგ ბრძოლა... კიდევ ფრიად უიმედო საქმედ რჩებოდა (ლ. სანიკ.); ღმერთი თუ შენს სიკვდილს გადაწყვეტდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ტანჯვას საქმარისად თვლიდა (ო. ჭილ.); ცეცხლი წაეკიდებოდა ხოლმე სახეზე, ვინმე თუ გაეხუმრებოდა, ანდა რამეს დაავალებდა, რამეზე დაასაქმებდა (ო. ჭილ.).

პირობითობის გამომხატველ იმ წინადადებათა სემანტიკა, რომლებიც თუ-ს გარეშე, სხვა სინტაქსური საშუალებებითაა გადმოცემული, რეალურობასთან კიდევ უფრო მიახლოებულია და მათში რეალურად და წარმოდგენილი დაშვებული პირობის შესრულების შედეგი. შდრ.:

წარმომიდგენია, როგორ შეშინდებოდიო, უცერად მანქანის ბამპერს რომ იგრძნობდიო ფეხზე („საუწყე“); გიორგი მეფემ ელჩები შეაგება თემურთანებს, დაზავება შესთავაზა და აღუთქვა, პირადად ინახულებდა თემურლენგს, როგორც კი ახლომახლო გამოჩნდებოდა (ლ. სანიკ.).

თუ ამ თვალსაზრისით სხვა ნაკვთთა კომბინაციებსაც განვიხილავთ, აღმოჩნდება, რომ რეალური პირობითობა გადმოიცემა თხრო-

ბითი კილოს ნაკვთთა მონაწილეობით. იშვიათად შეიძლება გამოყენებული იყოს აგრეთვე II კავშირებითი, — ისიც თხრობითი კილოს მომავალი დროის ფუნქციით. რაც შეეხება ირეალური პირობითობის გამოხატვას, ამ დროს დამოკიდებულ წინადადებაში კავშირებითი კილოს ნაკვთები გვაქვს.

ხოლმეობითის ნაკვთი ორსავე შემთხვევაში აქტიურად მონაწილეობს. პირველ შემთხვევაში იგი მთავარ წინადადებაშიც შეიძლება იყოს და დამოკიდებულშიც, მეორე შემთხვევაში (ირეალური პირობითობა) — მხოლოდ მთავარში.

XIII. რეალური პირობითობის გადმოცემისას დამოკიდებულ წინადადებაში კავშირებითი კილოს ნაკვთები, ჩვეულებრივ, არ გამოიყენება. ასეთ შემთხვევაში ენა უპირატესობას აძლევს თუ-ნაწილაკიანი თხრობითი კილოს ნაკვთებს. ამ კონსტრუქციაში სავარძლობით თუ-ს მორფემოიდული ფუნქცია, შეცვალოს ზმნური ფორმის კილოური მნიშვნელობა (თხრობითი — კავშირებითადა, რეალური — ირეალურად).

თუ მრავალფუნქციიანი და მრავალპლანიანი დამხმარე სიტყვაა იგი შეიძლება კავშირიც იყოს და ნაწილაკიც. გამოყოფენ მის ხუთ ძირითად ფუნქციას⁵⁷.

ამჟამად ჩვენთვის საინტერესოა პირობითობის, სათუთობის სემანტიკით მისი გამოყენების სისტემა, რამდენადაც იგი ხოლმეობითის ნაკვთის კილოური შინაარსის გარკვევაშიც შეიძლება მოგვეხმაროს.

საერთოდ, პირობითობის შინაარსით თუ ნებისმიერ ნაკვთთან შეიძლება შეგვხვდეს (როგორც კავშირი). მაგრამ ეს სემანტიკა განსაკუთრებით გამოკვეთილია თხრობითი კილოს ნაკვთებთან. კავშირებითი კილოს ფორმებთან თუ მხოლოდ ფიცილის ფორმულების ტიპის წინადადებებში შეიძლება შეგვხვდეს (როგორც ნაწილაკი), რომლებშიც მოსაუბრის განსაკუთრებული ემოციური დამოკიდებულებაა გამოხატული (შდრ.: „ცამ რისხვით მკითხოს და დედამაწამ არ მიმიღოს, თუ ცოდვა რამე ჩვენს გულში ჩახახულიყოს“, — ილია, ან; „ღვთისა და ბატონის რისხვა მქონდეს, თუ უცაბედად არ მომსკლოდესო“, — აკაკი). სხვა შემთხვევაში თუ ნაწილაკი გაუბრის კავშირებითი კილოს ფორმებს.

თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ ერთი და იმავე ლექსიკური მნიშვნელობის ზმნათა სხვადასხვა ნაკვთის ფორმების კომბინაციებით შედგენილი პირობით-შედგობითი შინაარსის წინადადებები:

⁵⁷ შ. ძიმიტოვი, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის, თბ., 1959, გვ. 336.

აწმყო — აწმყო/მყოფადი:

თუ მოწაფე კარგად სწავლობს, ნიშანსაც კარგს უწერენ/დაუწერენ.

უწყვეტილი — უწყვეტელი:

თუ მოწაფე კარგად სწავლობდა, ნიშანსაც კარგს უწერდნენ.

უწყვეტელი — ხოლმეობითი/II თურმეობითი:

თუ მოწაფე კარგად სწავლობდა, ნიშანსაც კარგს დაუწერდნენ/ნიშანიც კარგი უნდა დაეწერათ.

(ხოლმეობითის ნიუანსი ამ უკანასკნელ წინადადებაში ასეთია: კარგი ნიშანი არ დაუწერიათ, რადგანაც მოწაფეს ეს არ დაუმსახურებია. მოსაუბრეს ეჭვი ეპარება იმაში, რომ მოწაფე კარგად სწავლობდა. ამასთანავე, ზოგადი შინაარსის გამომხატველი **მოწაფის** ნაცვლად ამ შემთხვევაში კონკრეტულ პიროვნებაზე. მითითება აკობებდა, — ესეც ხოლმეობითის ნაკეთის შინაარსის სპეციფიკასთანაა დაკავშირებული. ამგვარივე ნიუანსი აქვს ხოლმეობითის ნაკეთით შედგენილ ყველა კომბინაციას, მათ შორის შედარებით უფრო იშვიათად გამოყენებულ კომბინაციასაც: **აწმყო — ხოლმეობითი:** თუ მოწაფე კარგად სწავლობს, ნიშანსაც კარგს დაუწერდნენ).

აწმყოს კავშირებითი — ხოლმეობითი:

მოწაფე რომ კარგად სწავლობდეს, ნიშანსაც კარგს დაუწერდნენ.

მყოფადი — მყოფადი:

თუ მოწაფე კარგად ისწავლის, ნიშანსაც კარგს დაუწერენ.

ხოლმეობითი — ხოლმეობითი/II თურმეობითი:

თუ მოწაფე კარგად ისწავლიდა, ნიშანსაც კარგს დაუწერდნენ/ნიშანიც კარგი უნდა დაეწერათ.

მყოფადის კავშირებითი — ხოლმეობითი:

მოწაფე რომ კარგად ისწავლიდეს, ნიშანსაც კარგს დაუწერდნენ.

წყვეტილი — მყოფადი/II თურმეობითი:

თუ მოწაფემ კარგად ისწავლა, ნიშანსაც კარგს დაუწერენ/ნიშანიც კარგი უნდა დაეწერათ.

II კავშირებითი — მყოფადი:

მოწაფემ რომ კარგად ისწავლოს, ნიშანსაც კარგს დაუწერენ.

I თურმეობითი — I თურმეობითი:

თუ მოწაფეს კარგად უსწავლია, ნიშანიც კარგი დაუწერიათ.

II თურმეობითი — ხოლმეობითი:

მოწაფეს რომ კარგად ესწავლა, ნიშანსაც კარგს დაუწერდნენ.

ამჟამად ჩანს, რომ თუ გაურბის კავშირებითი კილოს ნაკვეთებს, ამას რომ კავშირი ცვლის. უფრო ზუსტად, რომ წინადადებებს აკავშირებს, იგი მხოლოდ კავშირია, ხოლო სათუოობის შინაარსს, რასაც თუ თხრობითი კილოს ნაკვეთებს ანიჭებს, კავშირებითი კილოს ნაკვეთი გადმოსცემს.

მაშასადამე, თუ ნაწილას ამ შემთხვევაში - მცა ნაწილას ანალოგიური ფუნქცია უჩანს, თხრობითი კილოს ნაკვეთს კავშირებითი კილოს შინაარსს აძლევს.

თუ ნაწილას დაართვას რომ ზმნის კილოს შეცვლა შეუძლია, იქიდანაც ჩანს, რომ ნამყო ძირითადის ნაკვეთთან ხმარებისას იგი ამ ნაკვეთის ძირითად სემანტიკურ მახასიათებელს — ნამყო დროსა და თხრობით კილოს — ცვლის მომავალი დროითა და ირეალურობით, უფრო ზუსტად — მომავლით კი არა, დროული განუსაზღვრელობით, რაც უშუალოდ კილოს შეცვლასთანაა დაკავშირებული. შდრ.: „მე თუ გავიმარჯვე, ადრე ჩამოვალ“. გამარჯვების სათუოობა თხრობითი, რეალური კილოს შინაარსს სცილდება. ირეალურობას კი თავისთავად ადვილად უკავშირდება მომავალი დროს გაგებაც. ისიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი კილოური გარდაქმნების დროს თუ ნაწილას სათუოობის სემანტიკით უნდა იყოს გამოყენებული და მთავარი წინადადების ზმნაც მომავალი დროის გამომხატველი უნდა იყოს. სხვა შემთხვევაში, ვთქვათ, განმარტებითი მნიშვნელობის გამაძლიერებელი ფუნქციით ხმარებისას ზმნის კილოსა და, შესაბამისად, დროსაც იგი ვერ ცვლის (შდრ.: „მე თუ (გუშინ) გავიმარჯვე, ეს ჩემი დამსახურებაა“).

მაშასადამე, ხოლმეობითის ნაკვეთთან თუ ნაწილასი ისე გამოიყენება, როგორც სხვა თხრობითი კილოს ნაკვეთებთან. პირობითი შინაარსის წინადადებებში თუ ნაწილასი ხოლმეობითის ნაკვეთს სათუოობის, ირეალური კილოს შინაარსსა სძენს. ამ ნაწილასის გარეშე გამოიყენებული ხოლმეობითი რეალური კილოს გამომხატველია.

შემოთქმულის გათვალისწინებით ადვილად აიხსნება ხოლმეობითის თავისუფალი გამოიყენება მთავარ წინადადებაშიც და დამოკიდებულშიც. როგორც ცნობილია, კავშირებითი კილოს ნაკვეთები მთავარ წინადადებაში არ გამოიყენებიან, თუ ისინი სპეციალური დამატებითი სემანტიკით არ არიან მოტივირებულნი (ზოგიერთი ნაწილასი, ე. წ. ინფინიტიური კონსტრუქცია, ინტონაცია, ბრქანებითობის შინაარსი...). ზმნის კილოური თვალსაზრისით ჰიპოტაქსურ კონსტრუქ-

ციაში ამგვარი მიმართება გვაქვს: თხრობითი (მთავარში) — თხრობითი ან კავშირებითი (დამოკიდებულში).

ხოლმეობითის ნაკეთი, რომელიც, ჩვეულებრივ, რეალური კილოს გამოხატველია, თუ-ნაწილაკიან კომბინაციაში იღებს ირეალური კილოს შინაარსს. ეს ხდება სწორედ დამოკიდებულ წინადადებაში. მთავარ წინადადებაში ხოლმეობითს შენარჩუნებული აქვს რეალური კილოს შინაარსი; მოსაუბრისათვის ფაქტია, რომ, თუ პირობად დასახელებული მოქმედება განხორციელდება (იგი დამოკიდებულ წინადადებაშია მოცემული), მაშინ შედეგიც შესაბამისი იქნება (ეს კი მთავარ წინადადებაშია დასახელებული).

XIV. თუ ნაწილაკი ხოლმეობითთან მარტივი წინადადების კონსტრუქციაშიც გამოიყენება, პირობითობის მოდალური შინაარსის გარეშე. ამ შემთხვევაში ზმნას უმეტესწილად ახლავს საგარემოებო სიტყვები, ძირითადად — ვითარებისა; თუ ნაწილაკი ამ სიტყვასა და ზმნას შორის ჩაერთვის და აძლიერებს გარემოებითი სიტყვის ექსპრესიულ მნიშვნელობას, რის შედეგადაც ზმნით გამოხატული მოქმედება აღიქმება როგორც გამონაკლისი შემთხვევა.

მაგალითები:

პაპასთან ძვირად თუ ნახავდით იმის ტოლს ჩაჩანაკს მოხუცებულს (ვაჟა); რატომილდის ქარხნის ერთმა მუშამ, გერონტი ც-იამ, რომელმაც რუსული ენა იმდენად აცოდა, რომ ძლივს ორ სიტყვას თუ გადააბამდა ერომანეთს, უკუაგლო თავისი ერთგება და მოიწადინა კოსმოპოლიტური ოჯახის შექმნა (დ. კლდ.); ქალი მარტოხელა იყო. სტუმარიც იშვიათად თუ შემოვიდოდა. ხანდახან სტეფანე შესაძლავე შემოაბაჯდებოდა და მოიკითხავდა, ეს იყო და ეს... (თ. ჭილა); იცინოდა, ცდილობდა მძლოლიც გაეციენებინა, მაგრამ მძლოლი გვერდულად თუ გაიღიმებდა და თავს შეატოკებდა (რ. ინან.); ხანდახან, მზე რომ გამოანათებდა, წახუმრებული ძაღლები თუ გადაიბრუნდნენ ბაღს, ან და გათენებისას მფრთხალი კურდღელი თ ჩაიხსკეპსკეპებდა მესერის ძირ-ძირ. (რ. ინან.).

ამგვარ წინადადებებში თუ ნაწილაკს მხოლოდ, -და ნაწილაკების ანალოგიური ფუნქცია აქვს. იქნებ ამიტომ ამ ნაწილაკებთან თუ ზოგჯერ საგარემოებო სიტყვების გარეშეც გამოიყენება. შდრ.: „მხოლოდ შემთვრალი თუ გაბედავდა და მხრებზე ხელს მოხვევდა“ (რ. ინან.).

XV. ცალკე უნდა გამოიყოს ხოლმეობითის ნაკეთის გამოყენება განსაკუთრებული მორიდების, თავაზის გამოსახატავად, ძირითადად დიალოგურ მეტყველებაში. მაგალითად:

ბოდიში, მაგრამ ხომ არ მომაწვევინებდით? („ცისკ.“); რამეს ხომ არ დალევდით? („საუნჯე“); თქვენ რას იტყოდით? („საუნჯე“); ხომ არ 13. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, VIII 193

განმარტავდით... ესე იგი უფრო ვრცლად ხომ არ გვეტყობდით? (ჭ. ამირეჯ.); ნინო, ჰირიშე მანქანაში ერთი ადგილი მაქვს, ხომ არ გამოიხი-
რნებდი ჩემთან ერთად? (თ. ჯილ.).

სემანტიკურად ამ ფორმებს მყოფადის გავება აქვთ, ოღონდ ხოლ-
მეობითის ნაკვთი თითქოსდა არჩევანის მეტ უფლებას, შესაძლებლო-
ბას აძლევს ადრესატს, უფრო მეტ თავაზიანობას გამოხატავს. ამ წი-
ნადადებაშიც პირობითი შინაარსის ასოციირება ელიფსის ხარჯზეა
შესაძლებელი. (შდრ.: „რომ მეთხოვა, შემეთავაზებინა, ხომ არ და-
ლევდით?").

XVI. ხოლმეობითის ნაკვთი ხშირად გვხვდება რიტორიკული ში-
ნაარსის წინადადებებში, რომლებშიც აღნიშნული ფორმით გამოხა-
ტულია მოქმედების შესრულების შეუძლებლობა.

მაგალითები:

ილიკოს რას და არ წმუნებდი, როდესაც ასეთი უტყუარი საბუთი გვერ-
დით ეწვა (ნ. ლუმბ.); გამოუდგნენ დინოზავრები, მაგრამ რას დაეწეოდნენ...
(გ. პეტრა.); მაგრამ ცისარტყელაზე, აბა, როგორ ავიდოდნენ კვარტოქმენ-
დიები (გ. პეტრა.); ყოველ საღამოს ხომ უკან არ გაჰყვებოდნენ, ყოველ
საღამოს ხომ თვითონაც კინოში არ ისხდებოდნენ, ანდა გარეთ არ და-
ელოდებოდნენ დაწყებებიდან დამთავრებამდე? (რ. ინანი.); ვინ მიხვდო-
ბოდა, რომ ჩემგან წასვლა და ელისო წერეთლის გვერდით ყოფნა სიმძიმელი იყო
შენთვის (ჭ. ამირეჯ.); საღამოობით მისას ვის არ ნახავდით! (დ. კლდ.); რა-
ვა ვიფიქრებდი მე თვალდასავსეში, უყმური აყვა (ნ. ლორთქ.); მამაჩემი ისე
ადრე გარდაცვლილა, რომ დიაკვნათაც ვერ მოუსწრია კურთხევა, მე ვინდა მი-
პატრონებდა და ქე დაგრიხი უსწავლელი (ნ. ლორთქ.).

XVII. იშვიათად ხოლმეობითის ნაკვთით გადმოცემულია არა მო-
მავალი წარსულში, არამედ საკუთრივ მომავალი დრო, საუბრის შემ-
დეგ მოსახდენი. მაგალითად:

არაა, ვლახუნა, მაგი საქმე ასე საჩქარო, უთენიაზე წავიდოდით და ჩა-
მოვტრეკავდით იმ ცხენებს, სად ვიხარავდით ახლა ამ წყვარამში და დუშერ-
ნაკში (ნ. ლუმბ.); არ არსებობს სპეციალური სასწავლებელი, რომელიც აგრეთვე
ზღისათვის კადრებს მოამზადებდა („თბილ.“).

ამავე რიგისა ჩანს ნატერის გამომხატველ წინადადებებში და-
დასტურებული ზოგი ხოლმეობითიც:

ჯერ არც ისე თავისუფალი ვარ, როგორც ვისურვებდი („საუნჯე“); მე
ვინატრებდი გზას უნაპიროს, ცოტა სიყვარულს და ღერ ჰაპიროსს (გ. ტაბ.);
მე ვინატრებდი: ნეტავ ჩემს გამომცემელს ქაღალდის მოსვლამ შეუგვიანოს
ზღვითა თუ ხელოთ, რომ ნება-ნება, მყუდროებითა და სიტკბოებითა ეწერო
(გ. ლეონ.); მე თქვენთან მუსაიფი უფრო მეამებოდა (ნ. ლორთქ.); ყოველ

შემთხვევაში მე უსურვებდი ახალგაზრდა ფრანგ კეთილშობილ მიზანს მი-
აღწიოს... მალე (ნ. ლორთქ.).

XVIII. დასასრულ, ორიოდე სიტყვა ტერმინის შესახებ: ქართუ-
ლი უღვლილების ერთეულთა არსებულ ტერმინოლოგიაში მეტ-ნაკ-
ლებად ასახულია ამ ერთეულთა ძირითადი, წამყვანი სემანტიკური
ფუნქცია; ზოგიერთი ნაკვეთის სახელწოდება მის დროულ შესაძლებ-
ლობას წარმოაჩენს, ზოგის — კილრუსს, ზოგისა — ასპექტობრივს...
ზოგი ერთეული რამდენიმე დასახელებითაა ცნობილი (უწყვეტელი —
ნამყო უსრული; ხოლმეობითი — პირობითი — ნამყოფადარი ნამ-
ყო; წყვეტილი — ნამყო სრული — აორისტი). ამ პრინციპის არა-
თანმიმდევრულობის შესახებ ხშირად აღნიშნულა სპეციალურ ლიტე-
რატურაში⁵⁸.

ხოლმეობითის ფუნქციებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მისი
სპეციფიკური ფუნქცია ნამყოფადარი ნამყოს (მომავალი წარსულში)
აღნიშვნა და პირობით-შედევობითი მოდალობის გადმოცემაა. მრავ-
ალგზისობის შინაარსს ხოლმეობითი, სხვა ნაკვეთების მსგავსად, გად-
მოსცემს მხოლოდ აღწერითად, ხოლმე ნაწილაკთან ერთად და მაშინ-
ნაც იგი უწყვეტლის ნაკვეთის ფუნქციური შესატყვისია. ამის განო აღ-
ბათ უფრო მართებული იქნებოდა მის სახელწოდებად პირობითის
(ან თუნდაც ნამყოფადარი ნამყოს) გამოყენება.

⁵⁸ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 217;
არნ. ჩიქობავა, ქართული ზმნის ნაკვეთელთა დაჯგუფების პრინციპისათვის,
იკე, XIII, 1962, გვ. 102.